საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 იანვარი, 2013 წელი.

№6 (7133)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ფოსტალიონი გიორგი და პოსტალიონი მიშა

2

„კოჰაბიტაციით“ შენიღბული უზურპაცია

4

შე, კაი ადამიანო, გია ხუხაშვილო, თუ მართლა უკვე ხელთა გაქვს დამნაშავე ნაციონალთა მამხილებელი უტყუარი საბუთი, რაღას უყურებ, რაღას ელოდები?!..

3

კვირაძალს საკითხავი

6 7

ილია მეორეს საიუბილეო თარიღები ვლადიმერ პუტინის სახელით მიხეილ შვიდკოიმ მიულოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს კულტურის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა მიხეილ შვიდკოიმ ვლადიმერ პუტინის სახელით საიუბილეო თარიღები მიულოცა.

პუტინის მისალოცი წერილი შვიდკოიმ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში მიმდინარე კონფერენციაზე წაიკითხა. შვიდკოიმ ილია მეორეს „ქართველი ერის დიდებული წარმომადგენელი“ უწოდა და აღნიშნა, რომ მას საქართველოს ისტორიის რთულ პერიოდში თავისი სიტყვით მოჰქონდა მშვიდობა.

რაც შეეხება უშუალოდ ვლადიმერ პუტინის მისალოც წერილს, მასში ნათქვამია: „გულითადად გილოცავთ პატრიარქად წინამძღვრობის 35-ე და დაბადების 80 წლისთავს. თქვენი მოღვაწეობა არის მწყემსმთავრის ერთ-ერთი თავდაუზოგავი მოღვაწეობის მაგალითი – ღრმად ვაფასებთ თქვენს თბილ ურთიერთობებს რუსეთთან, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ვაფასებთ თქვენს ძალისხმევას და მოწოდებას მშვიდობისკენ, სიყვარულისა და ურთიერთგაგებისკენ, რომელიც ხელს უწყობს ორ ძვეყანას შორის მრავალსაუკუნოვანი, მეგობრული ურთიერთობების რთულ პერიოდში შენარჩუნებას. დარწმუნებული ვარ, რომ სულიერი, კულტურული და ჰუმანიტარული დიალოგი არის მყარი საფუძველი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის“, – ნათქვამია ვლადიმერ პუტინის მისალოც წერილში, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ასევე, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

აღსანიშნავია, რომ საიუბილეო თარიღების მილოცვის შემდეგ მიხეილ შვიდკოიმ უწმინდესს რუსეთის პრეზიდენტის სახელით ხატი გადასცა და აღნიშნა, რომ „ხატმა არამშვიდობიან და კონფლიქტურ პერიოდში ხშირად აღმოუჩინა დახმარება რუსეთს“.

დღეგრძელი იყავით მომავლის საქართველოსთვის!

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ!

უდიდესი სიხარულით ვასრულებ „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ დამფუძნებელთა დავალებას და მომავლის იმედით გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ახალ წელს, აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავს.

ჩვენ — ასამბლეა, ათასობით ადამიანი ვართ: ქართველები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, იეზიდები, ქურთები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, რომლებმაც ნებსით თუ უნებლიეთ დავტოვეთ საქართველო, მაგრამ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ საქართველოთი, საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულით.

თქვენ მიერ ხალხისადმი ეპისტოლეების სახით ყველა გზავნილი სულიერ საზრდოს წარმოადგენს მრავალი წლის განმავლობაში ყველა ჩვენგანისთვის. ჩვენთვის თქვენ განსაკუთრებული იმედი ხართ. ვინ ვინ და ჩვენ, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში აღმოჩენილებმა, დავინახეთ თქვენი ავტორიტეტი, უდიდესი განწყობა, რომელიც თქვენს მიმართ მთელს მსოფლიოშია. ჩვენ ეს განსაკუთრებულად გვეამაყება, რადგან „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ თქვენი ლოცვა-კურთხევით შეიქმნა და თქვენი დიდი მხარდაჭერით განაგრძობს საქმიანობას.

ჩვენ განსაკუთრებით ველოდებით თქვენს ვიზიტს მოსკოვში, სადაც დიდი საერთაშორისო პრემია გადმოგეცემათ. ვემზადებით თქვენთან შესახვედრად, რადგან გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი სამომავლო გეგმები, რომელთაც, ჩვენი აზრით, დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსათვის. ჩვენ ამ გეგმების განხილვას და დამტკიცებას ვაპირებთ საქართველოს ხალხთა ასამბლეის მეორე ყრილობაზე, რომელიც გვინდა ჩავატაროთ თბილისში მიმდინარე წლის მაისში.

ღმერთი განსაცდელს უწყობს ჩვენს ქვეყანას და ხალხს, მაგრამ განსაცდელი ბოროტება კი არა, სიკეთეა, თუ ჩვენ ვხედავთ და ვაანალიზებთ ყოველივე ამის მიზეზს. ფაქტია ისიც, ღმერთმა ყველაზე მძიმე ჯამს, განსაცდელის ჯამს, თქვენი თავი მოუვლინა საქართველოს. ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის.

მეამაყება, რომ ამ დღეებში ქალაქ ვლადიკავკაზში უამრავ ქართველსა და ოსს შევხვდი და ბევრ მათგანთან ერთად ვილოცეთ თქვენთვის. ეს 4 იანვარს, თქვენი დაბადების 80 წლისთავის დღეს შედგა. მეამაყება და ყველა ოსი ამაყობს იმით, რომ თქვენ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, დაიბადეთ ვლადიკავკაზში, მოინათლეთ ვლადიკავკაზის ქართულ ეკლესიაში, რომ თქვენს სახელთან არის დაკავშირებული ვლადიკავკაზის ცენტრში მდებარე ქართული სკოლა, რომელსაც როგორც სათნოების სახლს, ისე უვლიან ვლადიკავკაზელები.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ დიდ პატივისცემას „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ სახელით და მადლობას გწირავთ თქვენი სათნოებისათვის, რამაც გადაარჩინა საქართველო, გადაგვარჩინა ჩვენ, გადაარჩინა ჩემი ოჯახი და გადაარჩინა ჩვენში საქართველო. ეჭვი არ გვეპარება, მომავალი დაადასტურებს იმას, რომ თქვენ გადაარჩინეთ საქართველო!

დღეგრძელი იყავით მომავლის საქართველოსათვის!

„საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ პრეზიდენტი,
მონა ღვთისა
გოჩა ძასოხოვი,
2013 წლის 7 იანვარი (ქრისტესშობა)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოლიტწკიპურტები

ფოსტალიონი გიორგი და პოსტალიონი მიშა

პრა, არც არაფერი შემშლია და არც კორექტურა გამპარვია სათაურში: სერგო ზაქარიაძის კინოგმირი ფოსტალიონი გიორგი ადამიანებს ფოსტას — წერილებს თუ ამანათებს ურიგებდა, ჩვენი ვერგმირი პრეზიდენტი და ოპოზიციონერი(?!) უმაღლესი მთავარსარდალი მიშა კი პოსტალიონად იმად მოვნათლე, რომ პოსტებს არიგებს.

თუმცა, სადაა პოსტები — არეალ-გავლენაშეზღუდული პოსტალიონი უკვე ვერც მინისტრებს ნიშნავს და ვერც მერებსა თუ გამგებლებს. ერთი თანამდებობაღა დარჩა — ფაქტობრივად უფუნქციო პრეზიდენტის რწმუნებული.

ჰოდა, დანიშნა კიდეც სამეგრელო-ზემო სვანეთში თავის რწმუნებულად თენგიზ გუნავა.

ამჟამად არ გამოვედევნები პოსტალიონისთვის დამახასიათებელ ყოვლად მოუზომავ შეფასება-დახასიათებებს: იქნებ მართლაც გააკეთა 2008 წლის ომისას ყოველივე მის მიერ თქმული პოლიციის მაღალჩინოსანმა თენგიზ გუნავამ ფოთში, მაგრამ ერთი რამ კი ძალიან მაინტერესებს: **თუ ფოთში ამდენი ტექნიკა პოლიციელმა გუნავამ გადაგვირჩინა, რუსებიც თან დააზარალა და თანაც მანამ შეაჩერა, სანამ თურმე სააკაშვილი გამოსვლას დაამთავრებდა და მერე, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, ღრუბელ-ღრუბელ სკუშ-სკუშით დაუსხლტებოდა ხელიდან მისი დატყვევების მოსურნე რუსებს, ან, თუ, პოსტალიონისვე ნათქვამით, ბორჯომთანაც პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმს შეუჩერებია რუსები, ნეტარო უმაღლესო მთავარსარდალო, იძნებ გვითხრათ, ჩვენ ჯარი არ გვყავდა? თუ ისიც ზოგიერთივით გორის მიწაში ცხვირით ეძებდა და თხრიდა სამალავს?**

ალბათ, მართლაც ასე იყო, თორემ ლომგული პარლამენტის თავმჯდომარე ხომ არ მოგვიწოდებდა მაშინ, ჩანგლებითა და დანებით დაიცავით თავი და თბილისი ოკუპანტებისგანო? პირიქით გვეტყოდა, ნუ მიეცემით პანიკას, ჩვენი ჯარი დაგვიცავს, რომელსაც თქვენც დაუჭირეთ მხარიო!

თენგიზ გუნავას **„ასევე ვიცნობ, როგორც 2008 წლის ომის ერთ-ერთ მთავარ გმირს“.** ასე თქვა პოსტალიონმაც თავისი ახალი რწმუნებულის წარდგენისას.

მომკალით და, არ მჯერა! არ მჯერა, რადგან ვაითუ ახლაც ისე იყოს, პოსტალიონმა მიშამ თავის დროზე, პარლამენტში გამოსვლისას, გმირად რომ წარმოგვიდგინა პარლამენტის წევრი დავით კირკიტაძე, რომელსაც, თურმე არც მეტი, არც ნაკლები, ეს იმით დაუმსახურებია, რომ ბოდიში მოუხდია პოლიციელისთვის, **რომლისთვისაც, თავის პოსტზე სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებია ამ ხულიგანს, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკუთვნოდა და არა გმირად მონათვლა!**

და ერთიც: თენგიზ გუნავა, მოგეხსენებათ, სასამართლომ გირაოთი გაათავისუფლა თავისი საბოლოო სხდომის გამართვამდე.

ჰოდა, ვეკითხები განათლებით იურისტ პოსტალიონს: რამდენად კანონიერი და გამართლებულია თანამდებობაზე იმ ადამიანის დანიშვნა, რომელსაც მართლმსაჯულებასთან პრობლემები აძვს?

თუ პასუხი, თუნდაც მორალური კუთხით, უარყოფითია, რატომ ვიქცევით ასე? რატომ ვუდგებით ჯიბრში კანონსაც და საკუთარ ხალხსაც? რაო, ვინც რა უნდა თქვასო?

კი, მაგრამ, თუ ასეა, იმ ნაქებ კო(ჰ)აბიტაციას რა ვუყოთ? ან იმ ჭეშმარიტ დემოკრატიას (ისემც ცხვირი დაუმშვენდეს პოსტალიონს თავისი თანამოსაგრეებიანად!), **რომლითაც თავს იწონებს უცხოელებთან** (აბა, ჩვენთან ამას ვინ ჭამს!), **ეს უკვე ფაქტობრივად ჩამქრალი „დემოკრატიის შუქურა?“**

რას ვიზამთ, ისეც ხდება ხოლმე, რომ ზოგჯერ ზოგიერთნი, ბავშვობის ასაკიდან კარგა ხნის გამოსულნიც, ვერ ელევიან დიდობანა-სახლობანას თამაშს.

ზოგს კიდევ მმართველობანა-სახელმწიფობანას თამაში ურჩევნია!

არც ესაა გასაკვირი: პოეტისა არ იყოს, კაცია და გუნება.

თუმცა სადაა კაცი!

„შლოპანცები“ რად გვინდოდა, თუ შიმშილი არ გვინდოდა?



ერთი ცნობილი სიმღერის ნამეტნავი „გადამღერება“ კი გამოვივიდა ეს ქვესათაური, მაგრამ იგი ასევე ნამეტნავად რომ მიესადაგება ქვემოთ სათქმელს? სათქმელი კი აი, რა მაქვს:

ეს ბოლო რამდენიმე დღეა ქოთქოთებენ პოსტალიონი სააკაშვილი და ცალკეული **გნაცმოძრაობელნი:** აი, რა დღეში ჩააგდო ახალმა ხელისუფლებამ აჭარის ფერმერები, **შარშან ბევრად უფრო ძვირად და განუზომლად დიდი მოცულობით იყიდებოდა საზღვარგარეთ აქაური ციტრუსოვნები, ახლა კი ხალხს გადასამუშავებლადაც ვერ ჩაუბარებია მანდარინი, რადგან მთელს აჭარაში მხოლოდ ქობულეთშია ერთადერთი გადამმუშავებელი ქარხანაო!**

ერთიღა მინდა ვკითხო მათ: **ჩემო იმანოებო, ნოემბერ-დეკემბერში მისაღები ციტრუსოვნების გასაღების ბაზრის მოსაძიებლად და პოტენციურ შემსყიდველებთან სათანადო ხელშეკრულებების გასაფორმებლად ვის უნდა ეზრუნა თავის დროზე — შარშანდელი წლის ოქტომბრის მიწურულს არჩეულ ახალ მთავრობას თუ ახლა უკვე ყოფილს?**

ან იმას რომ გავკივით, ერთადერთი ქარხანაღა გვაქვსო, ვისი ბრალია?

ყოვლად უგემოვნო და უმაქნისი „შლოპანცების“ „კომპოზიციისთვის“ ან თუნდაც ე.წ. „ანბანის კოშკის“ ასაგებად რომ გადავყარეთ ათობით მილიონი (როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელის შეღებვა-გაწმენდის თუ სხვა სამუშაოებისთვის ყოველწლიურად 700 ათასზე მეტია თურმე საჭირო), **არ სჯობდა** (ამ ეტაპზე მაინც და არა — საერთოდ!) **ამ ფულით ორი-სამი ასეთი ქარხანა აგვეშენებინა? ამით ხომ რამდენიმე ასეულ ადამიანსაც დავასაქმებდით** (თანაც მუდმივ სამუშაოზე და არა დროებითზე, რომელსამე მშენებლობაზე) **და აჭარის ფერმერებსაც თუნდაც არასტანდარტული მანდარინის გასაღების პრობლემასაც მოვუხსნიდით?**

თან „შლოპანცებიც“ გვინდოდეს და თან კარგი ცხოვრებაც?

არ გამოვა ასე, ჩემო კარგებო, პლაჟზე „შლოპანცებით“ მაძღარ-გალალებული ხალხი დასეირნობს, თორემ დამშეული კაცი პურის ფულის საშოვნელად ოდითგან თავაუღებლად უბაყუნებდა მიწას თორს.

მატყუარა დემაგოგს ენა არ უნდა მოვუჩლიქოთ!

ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და ამბრამს არქმევდნენო, გამიგია. მაგრამ ჯერაც დაუბადებელი ყრმა აპრიორი ყაჩაღად მონათლო და, რაც მთავარია, სხვათა უამრავი დანაშაულიც მას დააბრალო, წარმოუდგენელია.

პრეზიდენტმა ამნისტიის აქტს ხელი არ მოაწერა. მისი ვეტო პარლამენტმა დასძლია. თუ იგი კვლავ უარს იტყვის ხელმოწერაზე, მაშინ უკვე პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით გათავისუფლდებიან პატიმრები საქართველოს საპყრობილეებიდან.

მაბრამ ეს მოხდება მხოლოდ 13 დეკემბერს, ანუ ხვალ!

გნაცმოძრაობელები კი უკვე რა ხანია გაჰყვირიან — ნახეთ, რა ძმნა ამბათმა ამნისტიამ, როგორ დამძიმდა კრიმინოგენური ვითარება ძვეყანაშიო!

ტონს ახლაც, ცხადია, პრეზიდენტი აძლევთ!

ახლახან მარნეულში მომხდარ საზარელ დანაშაულთან დაკავშირებით დავით კირკიტაძესთან ერთად დაზარალებულებთან მისულმა მიშამ თქვა, პოლიცია საგანგებო მდგომარეობის პირობებში უნდა ვამუშაოთ, თორემ დანაშაულის ტალღა წაგვლეკავსო.

ყველა კარგად ხვდებოდა, ვის ბალშიც ისროდა კენჭებს.

არადა, როგორც ვთქვი, ამნისტია მხოლოდ ხვალიდან დაიწყება!

სამაგიეროდ, თავად პრეზიდენტმა ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში პირადად შეიწყალა რამდენიმე ასეული პატიმარი, თანაც, როგორც ამბობენ, ძირითადად ყაჩაღობა-ბანდიტიზმისთვის გასამართლებულნი!!!

რატომ არ გინდათ, გნაცმოძრაობელნო იმისი ალბათობის დაშვებაც კი, რომ ერთგვარად სწორედ იმათი „დამსახურებაა“ კრიმინოგენური ვითარების გაუარესება?

კი თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ, პრეზიდენტი ჩვენ რომ გვაბრალებს, სინამდვილეში თვითონ შეიწყალა პედოფილიც და ნარკობარიგაცო, მაგრამ, უკაცრავი პასუხია და, ასეთი წამოკნავლება კმარა უსირცხვილო და მატყუარა დემაგოგების გამოსააშკარავებლად?

არადა, თუნდაც „რუსთავი-2“-ის წყალობით, ჯერხნობით სწორედ მატყუარა დემაგოგთა მხარეს იხრება სასწორის პინა საინფორმაციო ვაკუუმში მყოფი მოსახლეობის დიდი ნაწილის თვალში!

რუსლან რუსია

◎ ინფორმაცია

ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ზვიად ესებუამ, დაახლოებით სამსაათიანი შესვენების შემდეგ გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომლის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და სამსახურებრივი გულგრილობის საქმეზე ყოფილი თავდაცვის მინისტრს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა 15-ათასლარიანი გირაოთი შეეცვალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურატურის შუამდგომლობის გათვალისწინებით მოსამართლემ იმის გათვალისწინებით მიიღო, რომ მიიჩნია, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში თავისი ნებით დაბრუნდა და იგი აღარ დაემალება მართლმსაჯულებას. ასევე, მოწმეების ძირითადი ნაწილის დაკითხვიდან გამომდინარე, გავლენას ვეღარ მოახდენს მოწმეებზე.

გარდა ამისა, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი მოეხსნა შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და მეთაურობის საქმეზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დრო აღარ ითმენს

შე, კაი ადამიანო, გია ხუხაშვილო, თუ მართლა უკვე ხელთა გაქვს დამნაშავე ნაციონალთა მამხილებელი უტყუარი საბუთი, რაღას უყურებ, რაღას ელოდები?!..

დღეს უკვე აშკარაა, რომ ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებული ნაციონალები არა მარტო იხტიბარს არ იტეხენ თავიანთი დემაგოგიურად გაღმა მოდავე, ჩემი შენ გითხარი ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის მეთავეობით, არამედ გველის ხვრელში ძვრებიან (იღბლად გველის წელიწადმაც მოუსწროთ!), რათა თავს ლაფი დაასხან და ხალხის თვალში ყველანაირად გაანიორწყლონ „ძართული ოცნების“ გეგმებიცა და მიზნებიც. ერთი სიტყვით, ყველანი ვხედავთ, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აძვთ გაჩაღებული. თანაც მარტონი არ არიან, არც კიდევ მარტო სადმე ერთ ადგილას არ იბრძვიან. ვთქვათ, მარტო პარლამენტში. ეს ბრძოლა, როგორც იტყვიან, მთელი ფრონტით არის გაშლილი. დიდი მიხვედრა და გამოცნობა არ უნდა იმას, რომ ამ ბრძოლაში ჩართულია ტელევიზიაც („რუსთავი-2“, პირველი არხი), ბეჭდური სიტყვაც („24 საათი“ თავის უიკენდიანად) და უამრავი ნიღაბაფარებული მაღლა მძახებელი „საამათო საქმისა“ (ჩვენ დავბრუნდებით!).

უთუოდ არ ვიქნებით მართალი, აქვე იმასაც თუ არ ვიტყვით, რომ „ოცნების“ წინააღმდეგ ამ ბრძოლაში, ჩვეულებისამებრ, ტყუილმფრქვევებითა და სიცრუისმტყორცნელებით შეიარაღებულ ნაციონალებს თავიანთდა უნებურად ხელს უმართავენ თვითონ „მეოცნებენი“, არადა, თუ არა მოწინააღმდეგისთვის ხელის გამართვა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ სასწრაფოდ მოსაგვარებელი უამრავი საკითხის გადაჭრაში ის ერთგვარი მოდუნებულობა, ის არცთუ მაინცდამაინც მებრძოლი პოლიტიკური პრინციპულობა, ის არაერთი სოციალური დაპირების შეუსრულებლობის ხალხისთვის გასაგებად აუხსნელობა, რისი მოწმენიც, დიდად სამწუხაროდ, ამ სამი თვის მანძილზე ვართ?!.

კი, ბატონო, ვიცით და გვესმის, რომ ქალაქი კი არა, ერთ დღეში სოფელიც არ აშენდება. ამიტომ არის, რომ ვითმენთ და „გაგებით ვეკიდებით“ ამ უჩვეულოდ ცივ ზამთარს, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება წინა ცხრა „ნაციონალური“ ზამთრისგან. აქ ყველაფერს არ ჩამოვთვლით, კიდევ ბევრ რამეს ვითმენთ და „ვეკიდებით გაგებით“, მაგრამ ნამდვილად ვეღარ მოვითმენთ და ვეღარც „გაგებით მოვეკიდებით“ ქვეყანაში სამართლიანობის ერთხელ და სამუდამოდ აღდგენის აგრერიგად გაჯანჯლებასა და გაჭიანურებას.

სწორედაც ეს გაჯანჯლება და გაჭიანურება ასხამს ფრთებს და უბრტყელებს ენას ისევ ხალხისა და ქვეყნის პრეზიდენტად თავწარმოდგენილ სააკაშვილს, რომელიც ესოდენ ურცხვად და აღვირახსნილად აქეზებს, აგეშებს და აგულიანებს საეჭვოდ თავშერცხვენილ თავის თანამოსაგრეთ, და ისინიც აქეთ გადმოდიან იერიშზე და, ის კი არა, უკვე პოლიტიკური და ეკონომიკური ამნისტიის ხასიათზეც დააყენეს „დუშმანი“ უმრავლესობა.

აქეთ კი, „დუშმანთაგან“ ზოგიერთი „შინამეოცნებე“ თუ „გარემეოცნებე“ სისტემის მსხვერპლზე ალაპარაკდა. მაგალითად, ეკონომიკის ბრძენ ექსპერტად აღიარებული გია ხუხაშვილი, რომელიც ამავე დროს საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელია („მე დღეს ხელფასი უფრო მეტი მაქვს, ვიდრე რომელიმე სამინისტროში მექნებოდა, რატომ უნდა დამეთმო ადამიანური თავისუფლება და თუნდაც კრიტიკის უფლება თანამდებობის სანაცვლოდ?“ — ამას ჩვენ გვეუბნება, წელებზე ფეხდადგმულ ხალხს, ეკონომიკურად წელგამართული ეკონომიკის ექსპერტი).

არადა, რა დროს სისტემის მსხვერპლზე ლაპარაკია, როდესაც ჩვენს პატივცემულ ეკონომიკის ექსპერტს, ცოტა არ იყოს, გაკადნიერებულ-გათამამებულს, ძალიან უცნაური კვლევები ჩაუტარებია და უამრავი ფაქტობრივი მასალა დაჰგროვებია, თუ რა მდგომარეობა იყო ჯერ კიდევ ოქტომბრამდე ქვეყანაში ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთობის თვალსაზრისით. ესე იგი, პატივცემულ ექსპერტს ხელისუფლებისა და ბიზნესის ანატომიის ლუსტრაციის საშუალება მისცემია, ანუ სისტემურად დაუნახავს არაერთი მახინჯი სტრუქტურა და სქემა, დაუნახავს, თუ როგორ ხდებოდა კურიერების მეშვეობით ხელისუფლების წევრებთან ფულის მიტანა, როგორ ფორმდებოდა წილები, რა როლი ჰქონდა ამ საქმეში პროკურატურის „ხორცის მანქანას“... ეს ყველაფერი პატივცემულ ექსპერტს წესისა და რიგის მიხედვით დაულაგებია, მერე კონკრეტული ფაქტებით გაუმაგრებია და დაუდვია დოკუმენტი, ერთი განკუთვნილი საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ხოლო მეორე — ახალი ხელისუფლებისთვის. მაგრამ ერთი მარტივი მიზეზისა გამო არ ასაჯაროებს ამ დოკუმენტს. სამართლებრივი შეფასება თურმე ექსპერტის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. თუმცა, არ არის გამორიცხული (არ მესმის, რატომ უნდა იყოს გამორიცხული?!), რომ ამ მასალების შესწავლის შემდეგ ბევრის წინააღმდეგ დაიწყოს სისხლის სამართლის დევნა. მაგალითად, ერთ-ერთი ბიზნესსეგმენტიდან თურმე დაახლოებით 5 მილიონი ლარი იკრიბებოდა და ეს ფული კონკრეტული კურიერის მეშვეობით ჩხრიალდებოდა ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრის უძირო ჯიბეში, თანაც ყოველთვიურად (ვითომ მარტო ერთ-ერთის?)... და აი ამ დროს გამოდის მართლაც ვაიპრეზიდენტი სააკაშვილი უცხოური სტუმრის გასაგონად (მგონი, რომელიღაც იტალიელი მერის) დაქირავებულ კახელთაგან (ალბათ, ისევ სახელმწიფოს ხარჯზე!) უცხოდ მოვლილ-დამარმარებულ თავის ყვარლის მამულში და დიდი პირით ბრძანებს, ანუ უსირცხვილოდ იკვეხნის, ჩვენი ყველაზე დიდი გამარჯვება ის არის, რომ კორუფცია ყველა დონეზე მოვსპეთო (**SIC!**)...

ჩვენი ეკონომიკური ექსპერტი კი თავის საგაზეთო ინტერვიუში განაგრძობს, რომ, ერთი მხრივ, თურმე გვყავს ასი ათასობით დაზარალებული ადამიანი, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ, მეორე მხრივ კი, გვყავს ცოტა უფრო ნაკლები, მაგრამ დამნაშავეთა არმია. მაგრამ ამ არმიიდან ვინ უნდა დაისაჯოს, პატივცემულ ექსპერტს რატომღაც პასუხი არა აქვს, ამას თურმე ფართო დისკუსია და რაღაც ოქროს შუალედის მოძებნა სჭირდება. ამ ოქროს შუალედის თვალსაზრისით, თურმე ნიკა გვარამია კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ პასუხი მარტო იმან უნდა აგოს, ვისთანაც გვარამიას ფული მიუტანია (გვარამია თურმე კურიერი ყოფილა!).

ერთი სიტყვით, გვინდა თუ არ გვინდა, როგორც ითქვა, ნაციონალებმა მაინც თავისი გაიტანეს და „მეოცნებეები“ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამნისტიაზე ხმამაღლა აალაპარაკეს, რაც თურმე აღიარებისა და მონანიების საფუძველზე უნდა მოხდეს.

აშკარად გაუტიფრებული ნაციონალები კი არც აღიარებას ეპირებიან და, მით უმეტეს, არც მონანიებას (დეპუტატები ახალაია და საყვარელიძე პროკურატურამ დღემდე ვერ „დაიმორჩილა“ და ვერ მიიყვანა თავისთან ჩვენების ჩამოსართმევად!). ასე რომ, ტარიფების განახევრების თუ პენსიების მომატებისა არ იყოს, ჯერჯერობით არც სამართლიანობის მამაპაპურად აღდგენას უჩანს მაინცდამაინც საჩვენო პირი.

პირი კი, როგორც მოგეხსენებათ, პირია და არა ქოთნის ძირი. ერთი თუ გატყდა, ეგრე ადვილად აღარ მთელდება... ასეთ ფრიად არასასურველ შემთხვევაში ხალხს ისღა რჩება, რომ ხელისუფლებისგან პირგასამტეხლო მოითხოვოს, რისი მიღებაც კიდევ უფრო ნაკლები დასაჯერებელია...

ისე, ნამდვილად გაუგებარია, რატომ შეკრთა გზის დასაწყისშივე ასერიგად „ქართული ოცნება“, მარტო მე კი არა, ზედმეტად ბევრის მომლოდინე ჩვენი ხალხის დიდ უმრავლესობას უკვირს და გაჰკვირვებია.

და, ბოლოს, ბევრი რომ აღარ გავაჭიაყელავო, კვლავ დაბრუნებაზე გეზაღებული ნაციონალები, როგორც იტყვიან, ქოჩორზე ტრიალებენ (ვანო მერაბიშვილი, გიგი წერეთელი, ძმები კუბლაშვილები და კიდევ ზოგიერთი სხვაგვარად ირჯებიან, რასაკვირველია!), შესაძლებლობის ზღვარზე აქტიურობენ, არ ერიდებიან არც საბოტაჟს, არც შანტაჟს, არც დემაგოგიასა და პროვოკაციას, ცილისწამება ხომ ჩვეულებრივი ამბავია, და ნელ-ნელა ხალხის გუშინდელი ოპტიმიზმის ხვალინდელი პესიმიზმით გაზავება ხდება. ჩანს, სწორედ ამან ათქმევინა თავგადაკლულ სააკაშვილელ ძმათაგან ერთ-ერთ კუბლაშვილს (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს): მაგათ ოცნებას ახდენა არ უწერიაო...

ცბიერი კუბლაშვილებისა არასოდეს არა მჯეროდა და არც ახლა მჯერა, მაგრამ ვერ დავმალავ, რომ ერთი ავბედითი კითხვა ამეკვიატა და არ მასვენებს: ნუთუ ამდენი დავიდარაბის შემდეგ ხვალ მართლა პესიმისტობა გვიწერია?!

გურამ წიკლაური

◎ როდემდე?

„ოცნება“ საკადრო პრობლემებს დაჩქარებულ რეჟიმში წყვეტს, მაგრამ - არა აჩქარებით

2004-სა და 2012 წელს შორის დიდი სხვაობაა. წინა პოლიტიკურმა ძალამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პირდაპირ შეუქცევად პროცესად დაიწყო კანონის ნორმების აშკარა უგულებელყოფით, თვითნებობით, პირდაპირ ძალადობრივი მეთოდებით ხალხის სამსახურებიდან განთავისუფლება, ერთიან ვერტიკალში რამდენიმე ადამიანი იღებდა გადაწყვეტილებას, — აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგლა აგულაშვილი.

ეროვნული ბანკის, გენერალური აუდიტორის, სემეკისა და მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელ პირებად „ქართული ოცნების“ კანდიდატების ვინაობა „ოცნების“ ლიდერმა მას შემდეგ გააჟღერა, რაც მან უკვე პრემიერის რანგში საზოგადოებას მთავრობის შემადგენლობა წარუდგინა, მაგრამ დრო გადის, ამ ოთხ არცთუ უმნიშვნელო პოსტზე ძველი ხელმძღვანელები რჩებიან. ივანიშვილი აცხადებს, რომ პროცედურებს არ დაარღვევენ და ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს 7-წლიანი ვადით ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, ის ინიშნება ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან, მისი გათავისუფლება შეიძლება, თუ ის აღარ არის ამ საბჭოს წევრი, თუ მან დაკარგა ეს უფლება (გახდა საჯარო პირი, საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული პირის პარტნიორი, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ან გარდაიცვალა).

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობა კონსტიტუციურია და მისი იმპიჩმენტის საკითხიც, კონსტიტუციური გზით უნდა მოხდეს. პრეზიდენტი ჯერ უნდა გადაირჩიონ საბჭოს წევრობიდან და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დადგეს მისი იმპიჩმენტის საკითხი. ქვეყნის ნომერ პირველ ბანკირს ქვეყნის პრეზიდენტის წარდგენით, პარლამენტი 7 წლის ვადით ამტკიცებს. ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტად 2009 წელს დაამტკიცეს.

აუდიტიც კონსტიტუციური თანამდებობაა და კონსტიტუციური გზით უნდა მოხდეს მისი გადაყენება. მთავარ აუდიტორს გამარჯვებული ძალისაგან პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, 5 წლის ვადით. გადაყენების გზებიც იგივეა, რაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა.

ქვეყნის აუდიტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ლაშა თორდია ამ თანამდებობაზე 2012 წლის 25 ივლისსაა დანიშნული.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი 2008 წელს დაინიშნა. კომისიის წევრებს პარლამენტი 6 წლის ვადით ნიშნავს. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე სხვა 4 პირთან ერთად მარეგულირებელი კომისიის შემადგენლობაშია. მას პრეზიდენტი ერთპიროვნულად ვერ ამტკიცებს, ამ შემთხვევაში ქვეყნის პირველი პირი და პარლამენტი თანამონაწილენი არიან.

იმისათვის, რომ კომისიის თავმჯდომარე ვადაზე ადრე შეიცვალოს, პარლამენტის მიერ კვოტების წესით დამტკიცებული კომისიის ოთხივე წევრს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება. ამას კი კანონში ცვლილებების შეტანა სჭირდება, — ამტკიცებს კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი.

იხ. 5 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

„კოპაბიტაციით“ შენიღბული უზურპაცია

ოქტომბრიდან **მოყოლებული, ვუსმენ რა, „ოპოზიციაში“ გადასული სააკაშვილის და ნაცმოძის ლიდერების განცხადებებს, მიჩნდება „გონივრული ეჭვი“, რომ არსებობს რეალური საშიშროება ამ პოლიტიკური გაერთიანების „ტრანსფორმაციისა“ ექსტრემისტულ ორგანიზაციად, აქედან გამომდინარე შედეგებით! ანუ, როგორც ჩანს, ნაცმოძის და მათი პრეზიდენტის დევიზია — „თუ ჩვენ არ ვიქნებით ხელისუფლებაში, ქვა-ქვაზე არ დარჩენილა საქართველოში“! ამიტომ, რაც უფრო მალე მოხდება ამ ორგანიზაციის ლიდერთა „გეგმების“ მხილება, მით უფრო სწრაფად აიცილებს ქვეყანა მათგან მომდინარე საფრთხეს!**

ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, არ მოუსმენია და არ წაუკითხავს პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ექსპერტების მხრიდან გახმოვანებული ან დაწერილი ანალიზი იმ საშიშროების შესახებ, რომელიც არსებულ (მოქმედ) კონსტიტუციაში აქვს ჩადებული სააკაშვილსა და მის გარემოცვას, რომლის „ამოქმედების“ შემთხვევაში, მათი საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების მიუხედავად, „მაინც აძლევს „ნაციონალებს“ შანსს ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად“!.. ზუსტად 3 თვის წინათ, 2012 წლის 11 ოქტომბერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით (სტატიის სათაური — „სამშობლოს ავარიდოთ მოსალოდნელი საფრთხე“!), *ამის თაობაზე გავაფრთხილე ჩვენი საზოგადოება და ახალი* ხელისუფლება...

ციტატა სტატიიდან: **„..აქედან გამომდინარე, გამოსავალი ერთია, რომ ქართველმა ხალხმა ინიციატივა აიღოს თავის თავზე და მოითხოვოს ყავლგასული პრეზიდენტის გადადგომა! ოღონდ, ეს უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც ახალი პარლამენტის უფლებამოსილება ძალაში შევა და აირჩევენ პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერს!..“ დიახ, ნაცმოძი და მათი პრეზიდენტი „ბრძოლას“ აგრძელებენ! — თვითმმართველობების (საკრებულოები), ადგილობრივი მმართველობების (გამგეობები, მერიები, სამხარეო რწმუნებულები და შესაბამისი სამსახურები) და რაც მთავარია, — სასამართლო ხელისუფლების დონეზე (რაიონული, საქალაქო, სააპელაციო, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები — ნაცების დანიშნული მოსამართლეები!)! ამ ჩამონათვალს დავამატოთ ცესკო, საოლქო და საუბნო კომისიები, სადაც ნაცმოძის „ერთგული ჯარისკაცები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ“ არჩევნების გასაყალბებლად და რასაც მთელ რიგ ოლქებში მიაღწიეს კიდეც! ნაცმოძის პარტიულმა შტაბებმა გადაინაცვლეს ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც არის დანაშაული, ხოლო მათგან ამ სახელმწიფო სტრუქტურების განთავისუფლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და საქართველოს ყველა მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია!.. თბილისის მერს, ნაციონალ გიგი უგულავას კი, რომელმაც თბილისელებთან არჩევნებში 0:10 წააგო (მაჟორიტარები), ყოფნის თავხედობა, რომ „გამოწვევებზე ისაუბროს“ და აცხადებს: „ყველა გამოწვევას გავუძლებთ და ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვალთო“?! პრეზიდენტის პოლიტიკური რეიტინგი ქვეყნის მასშტაბით, დღეს 10%-საც არ აღწევს! ასე რომ, სააკაშვილის ნარჩენი ხელისუფლების რღვევის პროცესი სწრაფი და შეუქცევადია! ...სანამ, სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად ითვლება, სრულ გამარჯვებაზე ლაპარაკი შეცდომაა!“**

დღეს, საქართველო კრიზისშია, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა! სახელისუფლებო, პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ კრიზისში ვართ! აშკარაა, რომ წაგებული არჩევნების შემდეგ, ნაცმოძის მიზანია, — ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია ქართველი ხალხისა და მსოფლიო თანამეგობრობის თვალში! იმ საფრთხის გათვალისწინებით, რაც მომდინარეობს ავანტიურისტ სააკაშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვისგან, ქართველმა ხალხმა და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა, ყველა პოლიტიკურ-სამართლებრივი, კონსტიტუციური ნორმების დაცვით უნდა მოახდინოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი! წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური კრიზისი გაღრმავდება და პროცესები არაპროგნოზირებადი გახდება! ...გამოფხიზლდით ქართველებო, თავიდან ავარიდოთ სამშობლოს მოსალოდნელი საფრთხე, ამ საკეთებელს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ და არ გააკეთებს, და ეს ჭირი — ნაცმოძი ქართველი ხალხის დასასრულებელია!

ქრისტესშობის დღესაც „ვერ მოითმინა“ სააკაშვილმა და სულ „მნგრეველები და წარსულთან პაემანზე მეოცნებეები“ უწოდა ახალ ხელისუფლებას! 31 დეკემბერს „კავკასიის“ სტუდიაში მყოფი ბიძინა ივანიშვილი კი გვარწმუნებდა, რომ „სიცრუე დამთავრდა და „ნაცები“ ვეღარ შეძლებენ პოლიტიკური კრიზისის გამოწვევას“, და ისინი საბოლოოდ დამარცხდნენ! კი ბატონო, თქვენს პირს შაქარი, მაგრამ რეალობაში, „ბოლომდე“ ასე რომ არ ხდება, სანამ უზურპატორ „პრეზიდენტს“ არ მოვიშორებთ!.. **თუ ჩვენ, სააკაშვილს, არალეგიტიმურ (ამორალურ!) 10-თვიან კონსტიტუციურ „შესწორებას“ შევარჩენთ, მაშინ ვინ არის პასუხისმგებელი იმ ავანტიურისტულ ქმედებაზე, რომელიც ამა წლის ოქტომბრამდე ყოველდღე მოსალოდნელია ამ თვითმარქვია, არალეგიტიმური „პრეზიდენტისგან და მთავარსარდლისაგან“ („პუტჩისტი პრეზიდენტიღა გვაკლია“), რომელსაც 21 იანვრიდან ხელისუფლება ფაქტიურად უზურპირებული ექნება?! როგორ მოვიქცეთ ჩვენ, ხალხი, შევეგუოთ ამ მდგომარეობას 10 თვე და თუ „რამე მოხდა“, პასუხი ბიძინა ივანიშვილს მოვკითხოთ?! მე ვფიქრობ, რომ არა! ბიძინამ თავისი გააკეთა, „მეტს“, ვაშინგტონი და ბრიუსელი „არ მოუწონებენ“!.. ამიტომ, ჩვენ, — ხალხმა, უნდა დავასრულოთ ამ გათავხედებული, უგვანი, ცრუპენტელა და მოძალადე არსების ბოგინი ჩვენს ქალაქსა და ქვეყანაში!!! ქართველებო, იცოდეთ, რომ 21 იანვრიდან საქართველოს ეყოლება არალეგიტიმური, თვითმარქვია, უზურპატორი „პრეზიდენტი“ და ყოველი ჩვენგანის წმინდა ვალია მისგან ქვეყნის განთავისუფლება!!**

2008 წლის 20 იანვარს, „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ საბედისწერო პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როცა თბილისის იპოდრომზე შეკრებილი 300 000 ადამიანი არ დაძრა რუსთაველის პროსპექტისკენ და ხელი არ შეუშალა სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაციას, რომელიც 5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მასობრივი გაყალბების გზით მეორედ „ხდებოდა“ საქართველოს პრეზიდენტი! ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ავანტიურისტი სააკაშვილი დიდ პროვოკაციაზე წამოეგო იმავე წლის აგვისტოში, რის შედეგადაც რუსეთს „საბაბი მიეცა ეღიარებინა სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“! მანამდე კი, მაისში, „გაერთიანებული ოპოზიციის“ უნიათობის შედეგად სააკაშვილმა „მოიგო“ საპარლამენტო არჩევნები?!

მოკლედ, არ გავიმეოროთ 5 წლის წინათ დაშვებული შეცდომა და ამა წლის 20 იანვარს დავანახოთ მსოფლიოს, რომ ქართველი ხალხი არ შეურიგდება ამ მოძალადე, არალეგიტიმური და თვითმარქვია „პრეზიდენტის“ პარპაშს! თუ გვინდა, რომ კიდევ რაიმე უბედურება არ დააწიოს თავს ჩვენს ქვეყანას! **ე.წ. კოჰაბიტაცია სხვა არაფერია, თუ არა სააკაშვილის სულთმობრძავი რეჟიმის რეანიმაციის მცდელობა, რაც რევანშის ტოლფასი იქნება ნაცმოძის მხრიდან! სააკაშვილი და მისი 10-20-კაციანი გარემოცვა მართლა ყველაფერზე წამსვლელია!.. ამიტომ, 20 იანვარს სააკაშვილის ინაუგურაციის 5 წლისთავზე — 100 000 თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი საქართველოს მოქალაქე გარს უნდა შემოერტყას ავლაბრის რეზიდენციას და აიძულოს უზურპატორი და არალეგიტიმური „პრეზიდენტი“, რომ მან უარი თქვას უკანონო მმართველობაზე!! ხელისუფლების უზენაესი წყარო ხალხის ნებაა და ეს ყველაზე კარგად ამერიკელებმა და ევროპელებმა იციან, ასე რომ, წინ ავლაბრის სასახლისაკენ!!!**

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიგოლოგი

P.S. 2013 წლის 21 იანვრიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ პანლური, ჭიტლაყი (ან, როგორც გნებავთ ისე უწოდეთ) ამოჰკრას, „უთავაზოს“ სააკაშვილს, როგორც არალეგიტიმურ, თვითმარქვია და უზურპატორ „პრეზიდენტს“! ამ სამართლიანი ქმედებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან არ უნდა განხორციელდეს სამართლებრივი დევნა საქართველოს მოქალაქეების მიმართ!!!

ჯ.კ.

◎ დამაიმედებელი ცნობა

საწვავი მსოფლიოშიც გაიაფდება და საქართველოშიც

2013 წლის **განმავლობაში საქართველოშიც და მსოფლიოშიც საწვავზე ფასების შემცირების ტენდენცია შენარჩუნდება. აქედან, ერთი მიზეზი გლობალური და საყოველთაოა, ხოლო მეორე მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვის დამახასიათებელი. ასეა თუ ისე, ავტომფლობელებისთვის საიმედო პერსპექტივა გამოიკვეთა.**

ნავთობიმპორტიორი კომპანიების ნაწილი აცხადებს, რომ საახალწლოდ საწვავზე შემცირებულ ფასებს მომდევნო თვეებშიც შეინარჩუნებენ. კომპანია „გალფში“ აცხადებენ, რომ იაფი ფასები მანამ არ შეიცვლება, სანამ მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი სტაბილური იქნება.

საწვავზე ფასის ცვლილებას არც „სოკარი“ გეგმავს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ფასების რეგულირების საკითხზე აქტიურად მუშაობენ, თუმცა, ყველაფერი საერთაშორისო ბაზარზეა დამოკიდებული.

„ლუკოილში“ კი აცხადებენ, რომ საერთაშორისო ბაზარზე ბოლო დღეებში საწვავზე ფასმა მოიმატა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ლუკოილს“ გარკვეული მარაგი აქვს, რათა დაბალი ფასები შეინარჩუნოს.

მართალია, მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის ფასი ზემოთ მიცოცავს და ამჟამად 1 ტონა ევროპული ტიპის ბენზინის ღირებულება 1000 დოლარსაც გადასცდა, მაგრამ საქართველოში არჩევნების შემდეგ საწვავის გაიაფების ტენდენციაა და სამომავლოდაც იგივე ტენდენციის შენარჩუნება იგეგმება. მაგალითად, უახლოეს მომავალში ბაზარზე ახალი ეკონომკლასის ბრენდი გამოჩნდება, რომელიც მომხმარებელს ნავთობპროდუქტებს არსებულზე დაბალი ფასით შესთავაზებს.

ახალი კომპანიის მიზანი ის იქნება, რომ ხელისუფლების დახმარებით, ბაზარზე საწვავი დაბალი ფასით გამოიტანონ, რაც მსხვილ კომპანიებს მარჟის შემცირებას აიძულებს. მიზანი კი „ქართული ოცნების“ საწვავის გაიაფების დაპირებას მოემსახურება.

ნავთობპროდუქტების კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი ადასტურებს, რომ ბაზარზე ეკონომკლასის ავტოგასამართი სადგურების მქონე ახალი კომპანია მართლაც გამოჩნდება. რადგანაც მსხვილებს ბაზრის 90%-მდე აქვთ ათვისებული და ახალი „მოთამაშეების“ შემოსასვლელად რესურსი კიდევ არსებობს.

იაფი საწვავის შემოტანას აპირებს კომპანია „სენტას“ ყოფილი მფლობელი ზაალ იაკობიძე.

„საწვავს შემოვიტანთ ევროპიდან. განიხილება — საბერძნეთი, ბულგარეთი და რუმინეთი. ბუნებრივია, ჩვენ მიერ იმპორტირებული ბენზინი და დიზელი იქნება მაღალი ევროპული ხარისხის, თუმცა, უფრო იაფი. შესაძლებელია, რომ საწვავი უფრო დაბალი ფასით იყიდებოდეს, ვიდრე დღეს არის“, — აცხადებს იაკობიძე.

კიდევ უფრო სახარბიელო ინფორმაციები მოედინება საერთაშორისო არხებიდან. ირკვევა, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიო ბაზარს ნავთობის ჭარბი მიწოდება ელოდება, რამაც, შესაძლოა, „შავ ოქროზე“ ფასების საგრძნობი შემცირება გამოიწვიოს.

მაგალითად, აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელთა პროგნოზით, რომ 2013 წელს „ბრენტის“ ნავთობის საშუალო ფასი 1 ბარელზე 105 დოლარამდე შემცირდება, 2014-ში კი — 99 დოლარამდე. 2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი 112 დოლარს შეადგენდა.

ამერიკული საინვესტიციო კომპანია „გლობალ ჰანტერ სექიურითიც“ მსგავს ტენდენციებზე ამახვილებს ყურადღებს. მათი ინფორმაციით, 2013 წელს „ლაითის“ ტიპის საწვავი 1 ბარელზე, საშუალოდ, 85 დოლარი ეღირება, 2014 წლის შედეგებით კი — 80 დოლარი.

ეკა ბაძრაძე

◎ ინფორმაცია

შეხლა-შემოხლა თეთრიწყაროში

ხმაური **იყო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასთან. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, გუშინ დილიდან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ გამგეობის შენობის პიკეტირება დაიწყეს, რასაც პოლიციასა და მოპიკეტეებს შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა.**

შეხლა-შემოხლის დროს გამგეობის შენობაში შესასვლელი ვიტრაჟიც ჩაიმსხვრა.

მოპიკეტეები მოითხოვდნენ, თანამდებობიდან გადადგნენ გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე.

მათი განცხადებით, გეგმავენ რიგგარეშე სხდომის ჩატარებას, სადაც უნდა აირჩიონ ახალი გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე.

მოპიკეტეები მოითხოვენ, გამგებლად და საკრებულოს თავმჯდომარედ დაინიშნონ „ქართული „ოცნების“ წარმომადგენლები.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განსჯა

სააკაშვილის ხუთპუნქტიანი გარიგება და პირველი საგამოცდო წელი „ქართული ოცნებისთვის“

– საახალწლო დღესასწაული, რომელიც საქართველოში ტრადიციულად, ლამის ერთ თვესასაც კი გრძელდება, უკვე საკმაოდ საქმიანად დაიწყო და ქვეყნის პრეზიდენტმა საახალწლო მილოცვაშიც კი ახალი გეგმა წარმოადგინა. როგორი იმედებით ხვდება საზოგადოება ახალი ხელისუფლების პირველ ახალ წელიწადს, რა გველოდება – პოლიტიკურად მშვიდი თუ მღელვარე წელიწადი? ამ თემებზე ექსპერტი **გოგი ხუციშვილი** გვესაუბრება.

– ბატონო გოგი, საზოგადოებაში არის განწყობა, რომ ეს ახალი წელი რაღაცით განსხვავებულია, სხვაობა თქვენთვისაც შეიმჩნევა?

– აბსოლუტურად სხვა განწყობა იყო, ახალი წლის დადგომა ქართველი ხალხისთვის სრულიად მშვიდ, წყნარ ვითარებაში ახალი იმედების მომტანია, რადგან ის დამთრგუნავი ფაქტორები, რომელიც წინა ახალ წლებს სდევდა თან, მოხსნილია. არ ვიცოდით, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ის სიტუაცია, რომელშიც ვიყავით. შეიძლება იყოს უკეთესობისკენ მიმავალი ცვლილებები, შესაძლოა – არა, მაგრამ იმედი, რომ რაღაც შეიცვლება, ნამდვილად არის. ეს საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა და რეჟიმის შეცვლამ გამოიწვია.

სულ მცირე, არის მოლოდინი, რომ ქვეყნის ხელისუფლება ორიენტირებულია არა რაღაც ახირებებსა და ძვირადღირებულ, არაფრისმომტან პროექტებზე, არამედ უფრო გათვლილი და ნორმალური მმართველობა იქნება. გაჩნდა იმედი, რომ საქართველო აითვისებს რუსეთის ბაზარს, ესეც გარკვეული პერსპექტივაა ქართული ეკონომიკისთვის. თუმცა, ნაკლებად ჩანს იმისი მოლოდინი, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რაღაც ნაბიჯები გადაიდგმება, მაგრამ არც უნდა გვქონოდა ამის მოლოდინი, რადგან ეს გრძელვადიანი ამოცანაა.

– რამდენად კომპრომისული იქნება სააკაშვილი? ის უკვე დათანხმდა ელჩების გამოწვევას. უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს დადებითი მოვლენაა, უმცირესობა თვლის, რომ ამით კოჰაბიტაციის პროცესი ირღვევა. თქვენი შეფასებით, რასთან გვაქვს საქმე?

– საბოლოოდ, რა თქმა უნდა, დათანხმდებოდა, ამას დიდხანს ვერ გაწელავდა. ვფიქრობ, რომ ელჩების საკითხის გადაწყვეტა მოსაგვარებელი იყო. გავიხსენოთ, რა პირობებში ხდებოდა ელჩების და საერთოდ, დიპლომატიური კორპუსის დაკომპლექტება სააკაშვილის მმართველობის დროს. სააკაშვილის დროს ძირითადად იმ ელჩების გამოწვევა ხდებოდა, რომლებიც შედარებით თავისუფლად მოაზროვნე ხალხი იყო. ისინი ჩანაცვლებული იყვნენ იმ ელჩებით, რომლებიც ზუსტად და ზედმიწევნით ატარებდნენ იმ პოლიტიკას, რაც მმართველი გუნდის პოზიცია იყო. ამ თვალსაზრისით, წლების მანძილზე ელჩები იყვნენ იმ პოლიტიკური პოზიციის მატარებელნი, რომელიც საკმაოდ ნეგატიურ სურათს ქმნიდა უცხოეთში ქართული ოპოზიციის შესახებ. მკვიდრდებოდა აზრი, რომ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მართვა, ეს არის სააკაშვილის გუნდი, დანარჩენები არიან ან აგენტები, ან უუნაროები და ა.შ. ასეთ პირობებში როდესაც გიჩნდება საშუალება შეცვალო ასეთ პოზიციაზე მყოფი ელჩი, უნდა გამოიყენო. ნაკლებად სავარაუდოა, მათ პოზიცია შეეცვალათ და ობიექტურები გამხდარიყვნენ თავისი შეფასებებით. ამიტომ, ვფიქრობ, ასეთი ელჩები უნდა შეცვალო.

– თუმცა, სააკაშვილს ბოლომდე იმედი ჰქონდა, დიპლომატიურ კორპუსს დასავლეთში საკუთარი პიარისთვის გამოიყენებდა და ამიტომ, უმცირესობის მომხრეები თვლიან, რომ ელჩების გამოწვევა ახალი ხელისუფლების შეცდომაა...

– „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს აძლევს ასე გამოიყვანოს, რომ ელჩების გამოწვევა მმართველი გუნდის მხრიდან კოჰაბიტაციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან აშკარაა, რომ ელჩები ძალიან დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის შესახებ სურათის შექმნაში და ქვეყნის შესახებ ძალზე უარყოფითი სურათი იქმნებოდა.

– გამოითქვა მოსაზრება, რომ ისრაელში მომლოცველებისთვის ვიზებზე უარის თქმაც ამ ხელისუფლების შეცდომებს უკავშირდება და მიზეზად პალესტინის საკითხს ასახელებენ, თუმცა, ოფიციალური ვერსია მომხდარის შესახებ არ გვაქვს არც ისრაელის და არც საქართველოს მხრიდან...

– ლოგიკურად ეს ტექნიკურ მიზეზებთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა პოლიტიკურ საკითხებთან. თუ საკითხი პოლიტიკურია და ეს ისრაელის დემარშია, ან გამაფრთხილებელი ქმედება საქართველოს მიმართ იმის გამო, რომ მან მხარი დაუჭირა გაეროს დამკვირვებლის სტატუსის მიცემას პალესტინისთვის, ეს ნაკლებად მოსალოდნელი მგონია, რადგან პალესტინის ამ სტატუსს საქართველოს გარდა, კიდევ 138-მა ქვეყანამ მისცა ხმა. გამოდის, რომ ისრაელმა ამ 138 ქვეყანას, რომელთა რიცხვში მისი სტრატეგიული პარტნიორებიც შედიან, პროტესტი უნდა გამოუცხადოს, რის ნიშნებსაც ვერ ვხედავთ. რაღა მაინც და მაინც საქართველოს უცხადებს პროტესტს?

– ივანიშვილის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა ტრადიციად იქცა როგორც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე მათი მომხრეებისთვისაც, მაგალითად, ექსპერტი გია ნოდია იმასაც აცხადებს, რომ ივანიშვილის საქართველო იქნება გაცილებით ინერტული, რადგან ივანიშვილი დასავლეთისთვის ბოლომდე გაურკვეველი ფიგურაა...

– გია ნოდიას შეფასება არანაირად არ განსხვავდება „ნაციონალური მორაობის“ სხვა წევრების შეფასებებისგან და ექსპერტის შეფასება პოლიტიკურ განცხადებას არ უნდა ჰგავდეს. დღეს საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ გონიერი ხალხია წარმოდგენილი. თუმცა, მართალია, ის ქარიზმა, რაც სააკაშვილს ჰქონდა, ივანიშვილს არ აქვს და არც შოუების მოწყობის ისეთი დიდოსტატია, როგორიც სააკაშვილი. თუ შოუს მოწყობის ოსტატობას გულისხმობს ნოდია, მაშინ ვეთანხმები, თუმცა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შოუ არ არის.

– რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას. უკვე აგორდა ინფორმაცია, რომ კოალიცია იშლება. საფუძველი ლევან ბერძენიშვილის განცხადება გახდა იმის შესახებ, რომ არ არის გამორიცხული, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა, მალევე, ბიძინა ივანიშვილმა განმარტა, რომ კოალიცია დაშლას არ აპირებს. ხედავთ თუ არა, იმის საფუძველს რომ კოალიციის დაშლის პროცესი უკვე დაიწყოს? წინასწარ ვიცით, რომ კოალიცია ადრე თუ გვიან დაიშლება.

– განსხვავებული ძალებია და ნორმალურია, რომ გარკვეულ ეტაპზე მათი დაშლა მოხდეს. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა კარდინალურად განსხვავდება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისაგან. იქ საჭიროა იყო, რომ კოალიცია ერთ გუნდად ყოფილიყო წარმოდგენილი. ადგილობრივ არჩევნებში შესაძლებელია, რომ პარტიებმა ცალ-ცალკე მიიღონ მონაწილეობა, თუმცა, ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ადგილობრივ არჩევნებამდე დიდი დროა. შესაძლოა, იქამდე ისე ჩამოყალიბდეს პოლიტიკური სპექტრი, რომ შესაძლებელი გახდეს ამ პარტიების დამოუკიდებლად მონაწილეობა. თუ მანამდე „ნაციონალური მოძრაობის“ ფაქტორი საერთოდ მოიხსნება, მგონია, რომ პარტიები ასეთ შემთხვევაში ცალ-ცალკე მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. თუ მოხდა ისე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ფაქტორი გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, მაშინ კოალიციასაც ერთად მოუწევს არჩევნებში მონაწილეობა.

– რაც შეეხება 2013 წელს, გამომდინარე იქიდან, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წელია, მაინც რთული წელიწადი იქნება, თუმცა, საზოგადოებამ დაიწყო აქტიურობა, ხელმოწერების შეგროვება სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, რადგან კონსტიტუციით 5-წლიანი საპრეზიდენტო ვადა იწურება სწორედ 20 იანვარს. რა ჯობს ქვეყნის იმიჯისთვის, დავიცვათ კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში ტარდება, თუ მხარი დავუჭიროთ ჩანაწერს, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია?

– სააკაშვილიცა და „ნაციონალური მოძრაობაც“ მიხვდა იმას, მათ პედალირება ვადამდელ არჩევნებზე რომ გააკეთონ, მაინც ვერ მოიგებენ. ალბათ, ამით აიხსნება ის 5-პუნქტიანი გეგმა, რომელიც სააკაშვილმა თავის საახალწლო მილოცვაში წარმოადგინა. არა მგონია, საახალწლო მილოცვა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან საქმის გარჩევა თუ უნდა იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი მცდელობაა იმისა, რომ იქნებ ისე დაბალანსდეს ურთიერთობები, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ შეინარჩუნოს რაღაც პოზიციები და „ქართულმა ოცნებამაც“ აღარ გააგრძელოს სამართლებრივი პროცესები.

– ეს 5-პუნქტიანი გეგმა სამართლებრივი პროცესების შეჩერების არაპირდაპირი შეთავაზებაა?

– რაღაც გარიგების მსგავსი.

– რა არის სააკაშვილის ამ გეგმაში თქვენთვის მიუღებელი?

– ეს ის საკითხებია, რაზეც თითქოს შეთანხმებული იყო, მაგრამ ის, რომ სააკაშვილი ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ აბრალებს კოჰაბიტაციის პროცესის ჩაშლას, ამას არ ვეთანხმები, რადგან ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან იყო ისეთი ქმედებები, რაც შეუძლებელს ხდიდა მათ თანამშრომლობას პარლამენტში. ეს დაადასტურა კიდეც პრეზიდენტის წინასაახალწლო განცხადებებმა. მაგალითად, როდესაც ქუთაისში განაცხადა, რომ 2013 წელი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური დასასრულის წელი იქნება. ეს მუქარის ტოლფასი განცხადებაა. იგულისხმებოდა, რომ გამოიყენებდა საკონსტიტუციო უფლებამოსილებას იმისათვის, რომ 6 თვის თავზე დაეთხოვა პარლამენტი, პოლიტიკური კრიზისი გამოეწვია და რიგგარეშე არჩევნები დაენიშნა, რაზედაც საკმაოდ წყნარად უპასუხა ივანიშვილმა. მგონია, რომ ახლა „ნაციონალურ მოძრაობასაც“ ესმის, რომ არჩევნებს ვერ მოიგებენ და რესურსი რევანშისთვის სულ უფრო ნაკლები რჩებათ.

– თქვენი პროგნოზით, როგორი იქნება 2013 წელი?

– ეს უნდა იყოს იმ გეგმების განხორციელების წლები, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დასახა არჩევნების წინ. არჩევნების წინ რა განწყობითაც ხალხმა მას ხმა მისცა, ამ ყველაფრის განხორციელება უნდა დაიწყოს. ყველაფერი ვერ მოესწრება, მაგრამ პროგრესი უნდა დავინახოთ. 2013 წელი თვითონ „ქართული ოცნებისთვისაც“ იქნება გადამწყვეტი, როგორც პოლიტიკური ძალისთვის.

– გულისხმობთ იმას, რომ შესაძლოა „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე, ხალხის პირისპირ აღმოჩნდეს „ქართული ოცნება“?

– დიახ და საზოგადოებისთვის, ალბათ, ეს იქნება გარკვეული დასკვნების გაკეთების წელი.

ლალი ზირაძიშვილი

◎ როდემდე?

„ოცნება“ საკადრო პრობლემებს დაჩქარებულ რეჟიმში წყვეტს, მაგრამ - არა აჩქარებით

(მესამე გვერდიდან)

კანონით, სემეკის თავმჯდომარე ერთპიროვნულად არის დანიშნული სააკაშვილის მიერ. კომისიის წევრებიც მხოლოდ ქვეყნის პირველი პირის მიერ ინიშნებიან. ასე რომ, სემეკის ხელმძღვანელის გურამ ჩალაგაშვილის შეცვლა, ან მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება პროცედურულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

„ქართულ ოცნებას“ დასახელებული 4 სტრუქტურიდან 3-ში (ეროვნული ბანკი, გენერალური აუდიტორი და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია) ოფიციალურად ჰყავს დასახელებული თავისი კანდიდატურები (შესაბამისად: ნოდარ ჯავახიშვილი, ირაკლი შავიშვილი, კახა ბექაური), არ არის დასახელებული მხოლოდ სემეკის თავმჯდომარის, თუნდაც, სავარაუდო კანდიდატურა.

ახალ სახელისუფლებო კოალიციას პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, შესაბამისად უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეც მათი წევრია. მიუხედავად ამისა, ოთხივე არცთუ უმნიშვნელო უწყების ხელმძღვანელებად ისევ ძველი სახეები რჩებიან, რომლებზეც საზოგადოებაში არცთუ ისე კარგი ხმები ტრიალებს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ინფორმაცია

ლუკა კურტანიძე პოლიციის აკადემიის პრორექტორად დაინიშნა

ლუკა კურტანიძის განცხადებით, ის თავის სპორტულ გამოცდილებას პოლიციის აკადემიის სტუდენტებს გაუზიარებს და, ამავდროულად, სპორტული ვარჯიშების ინოვაციური მეთოდების დანერგვასაც აპირებს. ლუკა კურტანიძე პოლიციის აკადემიის პრორექტორის თანამდებობის გარდა, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობასაც ინარჩუნებს.

„ქართული ოცნების“ ოფისები მხოლოდ დროებითაა დახურული

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისების დახურვას ადასტურებს და აცხადებს, რომ მათი საჭიროება აღარ არსებობდა.

– ოფისები დროებით დაიხურა. ეს იყო კოალიციის საარჩევნო შტაბები და, ბუნებრივია, მათი ფუნქციონირება გახლდათ დროებითი მოვლენა, რომელიც არჩევნებთან იყო დაკავშირებული, – განუცხადა მანანა კობახიძემ „ინტერპრესნიუსს“.

მისივე განმარტებით, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ აპირებს, რომ ცალკე გახსნას პარტიის ოფისები. – პარტიული ოფისების გახსნა თებერვალშია დაგეგმილი. ეს აუცილებლად მოხდება, რადგან, როგორც ცნობილია, ყრილობისთვის ვემზადებით, – აღნიშნა კობახიძემ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ისტორიის თეთრი ლაქები

ქვეყნდება პირველად

თელაველი გენერლის ეთიოპური ოდისეა

საუბარი ოთხი სახელმწიფოს ქართველ გენერალზე

საბჭოთა გენერალიტეტის მატიანეში ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა, მისი წარმომადგენლები „ინტერნაციონალურ ვალდებულებებს“ ასრულებდნენ პლანეტის ცხელ წერტილებში. საბჭოთა სამხედრო ცენზურა, შესაბამისი ორგანოები გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს, რომ არ დაეშვათ ასეთ თემებზე ინფორმაციის გადინება. მხოლოდ ჩვენ დროს, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, გახდა შესაძლებელი ღიად ვისაუბროთ სსრ კავშირის – ოდესღაც დიდი ქვეყნის – შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო კონფლიქტებში, ომებში, რევოლუციებში. ამგვარ საიდუმლო მივლინებათა შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულეებიც – გენერლები და უფროსი ოფიცრები, რომლებიც მოგვიანებით გენერლები გახდნენ.

მაგალითად, კორეის ომში გასული საუკუნის 50-იან წლებში მონაწილეობდა საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი ნარიმან დალაქიშვილი, ვიეტნამში იბრძოდა გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდ მარღანიძე, ჩილეში სალვადორ ალიენდეს ხანმოკლე მართვის დროს, იმყოფოებოდა გენერალ-მაიორი ანდრო ვურაკი. სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი გიორგი ფიფია უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით ინკოგნიტოდ იყო ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში, გენერალ-მაიორი პანტელეიმონ გიორგაძე კუბაში ეხმარებოდა ფიდელ კასტროს სასაზღვრო ჯარების შექმნაში (მანამდე იქ იყო გენერალ-მაიორი გივი ორჯონიკიძე), გენერალ-მაიორი ნოდარ გუჯაბიძე ავღანეთში სამხედრო მრჩეველი იყო, 1980-82 წლებში გენერალ-მაიორი ვლადიმერ ლეშკაშელი იყო ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მთავარი სამხედრო მრჩეველი... და რაც გასაოცარია: რამდენი წელიწადი ვიცნობდი ვალერიან ბაგრატის ძე გომელაურს, მაგრამ მხოლოდ ამ დღეებში, როდესაც 80 წელი შეუსრულდა, გავიგე, რომ ის სამი წლის განმავლობაში, 1985-1988 წლებში, იყო სამხედრო მრჩეველი ეთიოპიაში. უფრო მეტიც, ჭიქა ჩაიზე მეგობრული საუბრის დროს, მან მაცნობა, რომ არის ეთიოპიის არმიის გენერალი და ეს წოდება მას ეთიოპიის პრეზიდენტმა და არმიის მთავარსარდალმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა მიანიჭა. და აი, გამოდის, რომ ჩვენს ათასზე მეტ თანამემამულეს შორის, რომლებმაც მაღალი სამხედრო წოდება მოიპოვეს, ვალერიან გომელაური არის ოთხი (!) სახელმწიფოს: სსრ კავშირის, ეთიოპიის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთი გენერალი...

იყო 1985 წელი. მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება: შორეული აღმოსავლეთის ზურგის 35-ე არმიის სარდლის მოადგილე, გენერალ-მაიორი ვ.გ.გომელაური გამოცხადდეს დედაქალაქში. აქ გაიგო თავისი სამსახურებრივი მივლინების შესახებ აფრიკაში – ეთიოპიაში თავდაცვის მინისტრის მოადგილის სამხედრო მრჩეველად. შესაბამისი ინსტრუქციისა და ახალი დანიშვნის პირობების გაცნობის შემდეგ, გენერალი გომელაური პირდაპირი რეისით მოსკოვიადის-აბება ჩადის 3-წლიანი მივლინების ადგილზე.

იმან, რაც გენერალმა გომელაურმა ნახა ადგილზე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეთიოპია ლამის კატასტროფის ზღვარზე იყო. ყველგან მიმდინარეობდა საერთაშორისო საბრძოლო შეტაკებები, სუდანიდან და სომალიდან ქვეყანაში შემოდიოდნენ ფარულად შეიარაღებული ბანდები. ქვეყანას აღარაფერი არ გააჩნდა, პირველ რიგში – სურსათი. მრავალი საუკუნის განმავლობაში აფრიკას მუდმივად მკაცრი გვალვა, კალიების შემოსევები ტანჯავდა. ამ უბედურების შედეგად ნადგურდებოდა ისედაც ღარიბი ნათესები, რასაც მოსდევდა შიმშილი და მოსახლეობის მაღალი სიკვდილიანობა.

სტიქია განსაკუთრებით ბობოქრობდა ეთიოპიაში. როგორც გენერალ გომელაურს ეთიოპიის პრეზიდენტის მთავარი საბჭოთა სამხედრო მრჩეველი, გენერალ-პოლკოვნიკი ხაჩიკ ამბარიანი უამბობდა, გვალვა, რომელმაც 1981-1984 წლებში აფრიკის 20-ზე მეტი ქვეყანა მოიცვა, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში აღმოჩნდა ყველაზე მკაცრი და გავრცელდა იმ რაიონებში, რომლებიც მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამ მეოთხედს იძლეოდა. ამ საშინელი სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობამ 6 მილიონ კაცს გადააჭარბა. დაიღუპა ქვეყნის ყოველი მეხუთე მცხოვრები (!!!).

ქართველ გენერალს პირველივე დღეებიდანვე უამრავი პრობლემის გადაჭრა უხდებოდა. ძილისა და დასვენების გარეშე, ხშირად ელემენტარული პირობების უქონლადაც, ღებულობდა გადამჭრელ ზომებს, და არა მხოლოდ სამხედრო ხასიათისა. ის წუთშეუსვენებლად ანაწილებდა ისედაც მწირ სასურსათო მარაგს. საყოველთაო ნგრევა, სატრანსპორტო საშუალებათა უკმარისობა, ცუდი გზები კიდევ უფრო ამწვავებდა სიტუაციას.

ამ ვითარებაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ სასწრაფო დახმარების თხოვნით მიმართა საერთაშორისო გაერთიანებას. სამართლიანობის დაცვით უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებას პირველი სსრ კავშირი გამოეხმაურა. ამ კეთილ საქმეში არის ჩვენი თანამემამულის წვლილიც. გენერალ გომელაურის თავკაცობით დაუყოვნებლივ შემოვიდა ავიარაზმი 12 თვითმფრინავი ან-12-ისა და 24 შვეულმფრენი მი-8-ის შემადგენლობით, შთამბეჭდავი ავტოკოლონა – 304 სატვირთო მანქანა ზილ – 131 თავისი მომსახურე პერსონალით, აგრეთვე საველე ჰოსპიტალი 200 საწოლზე სამედიცინო პერსონალით, და ბევრი, ბევრი სხვა რამ.

– როდესაც ასეთი შესაძლებლობა გამიჩნდა, – ამბობს ვალერიან გომელაური, – შევძელი უმოკლეს ვადაში მომეწყო დაზარალებული მოსახლეობის გადაყვანის პროცესი კლიმატური პირობებით ქვეყნის უფრო ხელსაყრელ რაიონებში. მაშინ საბჭოთა კავშირმა ეთიოპიას მისცა 10 ათასი ტონა ბრინჯი, ათასობით ტონა სხვა პროდუქტები, აგრეთვე, ექსკავატორები, მიწის სათხრელი მანქანები, ტრაქტორები, ავტოცისტერნები სასმელი წყლის გადასატანად, დანადგარები წყლის ჭაბურღილების სათხრელად და ბევრი სხვა რამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთიოპიაში 1981-84 წლების უმკაცრესი გვალვის შედეგების ლიკვიდაციის პროცესი მრავალი მომდევნო წელი გაგრძელდა. თანაც მთელი ამ უზარმაზარი სამუშაოს სიმძიმეს ართულებდა განუწყვეტელი საბრძოლო მოქმედებები ქვეყნის ჩრდილოეთში, აგრეთვე, ერიტრიაში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო სეპარატისტული განწყობილება. ერიტრიაში ეს ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა პერიოდში, 1974 წლიდან კი ეთიოპიაში იფეთქა სამოქალაქო ომმა. ერიტრიის მცხოვრებლები მოითხოვდნენ ამ ტერიტორიის გამოყოფას ეთიოპიიდან. ამ პერიოდიდან დაიწყო სწორედ საბრძოლო მოქმედებები ეთიოპიასა და სომალის შორის. შემდეგ კი ქვეყანაში იფეთქა სამოქალაქო ომმა. გომელაურსა და ყველა საბჭოთა სამხედრო მრჩეველსა და სპეციალისტს უწევდა დიდი რისკის გაწევა, რაც ყოველგვარ ნორმას სცილდებოდა. რასაკვირველია, იყო მსხვერპლიც. ეთიოპიაში გენერალ გომელაურის ჩასვლამდე იქ 1978 წლის 25 ნოემბერს ტრაგიკულად დაიღუპა მამაცი ქართველი პოლკოვნიკი ედიშერ ზაქარიას ძე ხოსიტაშვილი, რომელიც საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდა, სადაც ეხმარებოდა ეთიოპელ მეომრებს სეპარატისტების შეტევის მოგერიებაში. შვეულმფრენს, რომლითაც მოფრინავდა ჩვენი თანამემამულე – ეთიოპიის შეიარაღებული ძალების ფრონტის სარდლის მრჩეველი, მოხვდა საზენიტო წვრილკალიბრიანი ჭურვი, რომელმაც ქვემოდან გახვრიტა სკამი, რომელზეც იგი იჯდა, და გაიარა მთელი სხეული თავამდე. ის მაშინ 42 წლისა იყო. ასევე 1981 წელს დაიჭრა ფეხში მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი – ეთიოპიის პოლკის მეთაურის მრჩეველი. უკვე გვიან, 1991 წელს, გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავდაცვის მინისტრი, შემდეგ, ქართული არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდებით, სათავეში ჩაუდგა გენერალურ შტაბს, გახდება ვახტანგ გორგასლის ორდენის სრული კავალერი.

... ერთხელ, როდესაც ეთიოპიის ზურგის პოზიციების მორიგი შემოწმებიდან სახლში ბრუნდებოდა ადის-აბებაში, გენერალმა გომელაურმა გზაში შენიშნა ეთიოპელთა დიდი ჯგუფი, რომლებიც გაჭირვებით მიდიოდნენ, მათთან ერთად ბავშვებიც იყვნენ. როგორც გამოირკვა, დივერსანტებმა გაანადგურეს სასმელი წყლის მთელი ორი კვირის მარაგი. ცენტრთან კავშირი დარღვეული იყო. დახმარება არსაიდან არ იყო შესაძლებელი. თურმე ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში უწყლოდ იყვნენ. მიუხედავად დაღლილობისა, აგრეთვე, რეალური საფრთხისა, გენერალი გომელაური პირადად ხელმძღვანელობდა ამ სოფელში სასმელი წყლის მიწოდებას, რაც თითქმის მთელი ღამე გაგრძელდა, ვინაიდან წყალმზიდები ამ დროს დისლოკაციიდან ძალიან შორს იყო, წყლის მიწოდება კასრებით დაიწყეს.

გენერალ გომელაურის ამ მოქმედების შესახებ ცნობა ეთიოპიის პრეზიდენტ მენგისტუ ჰაილე მარიამამდეც მივიდა, რომელმაც თავისი კაბინეტის უახლოეს სხდომაზე საბჭოთა მრჩევლების მონაწილეობით, გულითადი მადლობა გადაუხადა ჩვენს თანამემამულეს ამ კეთილშობილი საქციელისთვის. პრეზიდენტი მივიდა გომელაურთან, ჩამოართვა მას ხელი და უთხრა: „გმადლობთ წყლისთვის. წყალი აფრიკაში – ეს ხომ სიცოცხლეა! თქვენ ათობით ჩვენი ბავშვი და მოზრდილი გადაარჩინეთ სიკვდილს“.

ვალერიან გომელაური თითქმის ყველაფერს ასწრებდა. ავიღოთ, თუნდაც, აი ეს. ერთ შორეულ სოფელში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ახალგაზრდა ეთიოპელი ქალი. ის ბავშვს ელოდებოდა და სასწრაფო დახმარება სჭირდებოდა. მახლობლად შეტაკებები მიმდინარეობდა, ისროდნენ ყველა მხრიდან. გენერალმა გომელაურმა მშობიარე თავისი მანქანით უახლოეს ჰოსპიტალში მიიყვანა, სადაც მაშინ არ იყო სათანადო სპეციალისტი. რა უნდა ქნას? სად წაიყვანოს ეს გატანჯული, გამხდარი – მარტო ძვალი და ტყავი – ქალი? ბრძანებებით საქმეს არ მოევლება, თანაც ეს ნამდვილი კახელი კაცის თვისება არ იყო. გომელაურმა შეკრიბა ექიმები და თავადაც ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ, არწმუნებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მალე ქალმა შვა ვაჟიშვილი. მშობიარობამ წარმატებით ჩაიარა, ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა. ბედნიერი დედა მადლიერების გრძნობით შესცქეროდა თავის გადამრჩენლებს – გენერალ გომელაურსა და სამედიცინო სამსახურის მაიორს, ხოლო როდესაც გაიგო საბჭოთა ექიმის სახელი, თავის შვილს მადლობის ნიშნად იური დაარქვა.

მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღის შემდეგ გენერალი გომელაური თან ახლდა ეთიოპიის პრეზიდენტს, რომელმაც ისურვა მისულიყო არმიის ნაწილებში, აგრეთვე, დაეთვალიერებინა ახალი ჰოსპიტალი, რომელიც ეთიოპიას საბჭოთა კავშირმა აჩუქა. და აი, პრეზიდენტი ჰოსპიტალშია, შემოიარა ყველა პალატა. აღფრთოვანებულმა განაცხადა, რომ მსგავსი რამ ცხოვრებაში არ უნახავს. განსაკუთრებით ააღელვა იგი ფეხმძიმე ქალისთვის დახმარების აღმოჩენის ამბავმა. აცრემლებულმა, მაგრამ ბედნიერმა დედამ უამბო პრეზიდენტს ყველა პერიპეტია, თანაც ხელით უჩვენებდა იქვე მდგარ გომელაურსა და ექიმ იურიზე. მენგისტუ ჰაილე მარიამმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა მშობელს. გომელაურმა ამ დროს შენიშნა, როგორ აევსო ეთიოპიის პრეზიდენტს თვალები ცრემლით...

შეუძლებელია ყოველივე იმის ჩამოთვლა, რაც ჩვენმა თანამემამულემ გააკეთა ეთიოპიისთვის არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობით, არამედ თავისი კეთილი გულის წყალობითაც. 1985-1988 წლების პერიოდში ეთიოპიის ზურგის უზრუნველყოფისა და დაფინანსების დარგში თავდაცვის მინისტრის მოადგილის მრჩევლის სამხედრო-სამსახურებრივი ვალდებულებების გარდა, სარდლობდა საბჭოთა რაზმებს – ავიაპოლკს, საავტომობილო ბატალიონს, ჰოსპიტალს 200 საწოლზე, დამხმარე ნაწილებს. თავისი სამწლიანი მოღვაწეობის (აქ ეს სიტყვა ბევრად უფრო მეტად მიესადაგება, ვიდრე „სამსახური“) შედეგების შესაბამისად მან მრავალგზის დაიმსახურა გაეროს აფრიკის საკითხების კომიტეტის, ეთიოპიის მთავრობისა და პირადად ქვეყნის პრეზიდენტის მენგისტუ ჰაილე მარიამის სამადლობელი შეფასება. ამ უკანასკნელმა ვალერიან გომელაურს ეთიოპიის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. სსრ კავშირში დაბრუნების შემდეგ გენერალი გომელაური ორჯერ დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით...

ასე, პირველად ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში, გენერალმა გომელაურმა მიიმბო ეთიოპიაში თავისი არააფიშირებული მისიის შესახებ. გენერლის მყუდრო ბინის სტუმართმოყვარე დიასახლისს, ვალერიან გომელაურის მეუღლეს ვთხოვე დაემატებინა რამე იმ პერიოდიდან. პროფესიით ინჟინერ-კონსტრუქტორი ქალბატონი იდა გვიამბობს: „ვაჟი და ქალიშვილი სახლში დავტოვეთ, ვინაიდან ისინი უკვე მოზრდილები იყვნენ. ეთიოპიაში ზუსტად სამი წელი ვიყავით. სიძნელეები არ დაგვკლებია. ბუნებრივია, ვიცავდით საიდუმლოების რეჟიმს, თავს ევროპელებად ან ბალტიისპირელებად ვასაღებდით. ვლაპარაკობდით ამხარულ – ძირითად სახელმწიფო ენაზე. ამ მიზნით მუდამ თან გვქონდა ლექსიკონები. ადის-აბებაში, სადაც მთელი პერიოდი ვცხოვრობდით, გვყავდა დაცვა. ბინაში მე მქონდა პისტოლეტი „ბერეტა“ და ავტომატი. ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ჩვენი მისიის საიდუმლოების მიუხედავად, იქ იყო ხალხი, რომელიც კარგად იყო გათვითცნობიერებული ჩვენს სპეცმივლინებაში. იყო დაშინებებიც. მაგალითად, სახლში გვიყრიდნენ ფურცლებს, წერილებს, რომლებიც რუსულ ენაზე იყო დაწერილი, სხვათა შორის, საკმაოდ გამართულად. მაგალითად, იყო ასეთი შინაარსისაც: „ამხანაგო გენერალო, გთხოვთ შეწყვიტოთ ყველა საბჭოთა რაზმის მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში...“ არადა, ვალერიანი და სხვა სამხედრო მრჩევლები (ისინი მაშინ ხუთნი იყვნენ) და სპეციალისტები ეთიოპელების სამხედრო ფორმით დადიოდნენ, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე. მაგრამ, მტერმა – თუ რა უნდა და უწოდო მათ – ჩვენს შესახებ ბევრი რამ იცოდა. თვალყურს გვადევნებდნენ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლებიც. ასე რომ, დაძაბულობა ყოველდღიური იყო...“

შეკითხვაზე, თუ რა არის მაინც მისი მთავარი მოგონება ამ აფრიკულ ქვეყანაზე, ქალბატონმა იდამ მიპასუხა: „ეთიოპია აფრიკის კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. და ეს ყოველთვის გულს მითუთქავს. ეთიოპელები მეტად გულკეთილი ხალხია, როგორც ჩვენ, ქართველები. ეს ქვეყანა მეტად მრავალეროვნულია. ბევრნი არიან სომხები, ბერძნები, ვისაც ადის-აბებას ბაზრებზე ვხვდებოდი, არიან არაბები, ინდოელები, ევროპელები... თავად ეთიოპელები შავკანიანები არიან, კუპრივით შავი თმებით. მამაკაცები ერთობ ტანადები ჰყავთ. სხვათა შორის, ეთიოპი ბერძნულ ენაზე მზით დამწვარს ნიშნავს.

ეთიოპელები ქართველებს ჰგვანან ზნე-ჩვეულებებით: არიან მეტად თავიანი სუფლებისმოყვარულები და ამაყები. ეთიოპია არავის აძლევდა მასზე ბატონობის ნებას. ეს აფრიკული ქვეყანა – ერთ-ერთია ამ კონტინენტზე, რომელიც არასოდეს ყოფილა სხვა ქვეყნის კოლონია. და კიდევ, არ შემიძლია დავივიწყო ეთიოპური ძალიან წვრილმარცვლოვანი ყავა, რომელიც გამოირჩევა მაღალი გემოვნებითი თვისებებით და დიდად ფასობს მსოფლიოში. მადლობა ღმერთს, ცოცხლები დავრჩით“...

იმ საღამოს მოვიგონეთ ქართველი გენერლები, რომლებიც ამგვარივე მისიით იმყოფებოდნენ უცხოეთის ათობით ქვეყანაში და იძულებული იყვნენ არაფერი ეთქვათ ამის შესახებ: ასეთი იყო მაშინ „განაწესი ზევიდან“.

მკითხველისთვის, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ბიოგრაფიის გაცნობა. ვალერიან გომელაური დაიბადა თელავში 1933 წლის 1 იანვარს. მამამისი დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა. სახლში დარჩა დედა სოფიკო სამ შვილთან – ლონგინოზთან, ვალერიანთან და ვახტანგთან ერთად. 1943 წელს ვალერიანი ნოვოჩერკასკის სუვოროვის სასწავლებლის პირველი შეკრების კურსანტი გახდა, სადაც მალე ჩავიდა მარშალი სემიონ ბუდიონი, რომელსაც ისე მოეწონა ქართველი ბიჭი, რომ მოეხვია მას და უსურვა გენერალი გამხდარიყო. ასე რომ, ვალერიან გომელაურმა, რომელმაც სუვოროვის სასწავლებლის შემდეგ დაამთავრა უმაღლესი საერთო-სამეთაურო სასწავლებელი, ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო აკადემია, არა მხოლოდ შეასრულა მარშლის სურვილი, არამედ გადააჭარბა კიდეც: გახდა ოთხი სახელმწიფოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი გენერალი (!).

ქართული მიწის სისხლსა და ხორცს გენერალ გომელაურს მოუწია მრავალი წლის განმავლობაში ემსახურა მშობლიური მხრიდან შორს – შორეულ აღმოსავლეთში, სადაც იყო ზურგის გაერთიანების სარდლის მოადგილე, მხოლოდ 1988 წელს, ეთიოპიიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც იქნა, დანიშნეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ზურგის უფროსის მოადგილედ. სსრ კავშირის კრახის შემდეგ გომელაური გარკვეულ პერიოდში რუსეთის ჯარში მსახურობდა, თბილისში. მას მოსკოვიდან სთავაზობდნენ მაღალ თანამდებობებს, ბინას დედაქალაქში, მაგრამ გომელაურის შეკავება ვერაფერმა შეძლო – მან საბოლოოდ დატოვა რუსეთის არმია, რათა ემსახურა ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში.

მეტად დიდია გენერალ გომელაურის წვლილი ქართული არმიის, მისი საიმედო ზურგის შექმნაში. ის დღემდე სარგებლობს იმათი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, ვისთან ერთადაც მოუწია საქართველოს არმიაში სამსახური, იბრძოდა აფხაზეთში. ხალხი აფასებს მის არაჩვეულებრივ ადამიანურ თვისებებს: სიკეთეს, პატიოსნებას, სამშობლოს სამსახურისთვის მზადყოფნას, მაღალ კვალიფიკაციასა და ცოდნას, უმაღლეს წესიერებას ყველაფერში – დიდშიც და მცირედშიც.

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გახსენება

შეხვედრები იაშა ჯუღაშვილთან

ამას წინათ (2012 წ. 8 დეკემბერი, №236) ჩვენმა გაზეთმა მკითხველს შესთავაზა აქამდე უცნობი დოკუმენტები: სვეტლანა ალილუევას წერილი-განცხადება (1986 წ.) სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვისადმი და მისივე იმავე წელს დაწერილი ანდერძი. ეს დოკუმენტები რედაქციამ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის არქივში მოიძია.

დღეს იმავე არქივიდან გთავაზობთ ლეონიდ პრივალოვის მოგონებას ი.ბ. სტალინის უფროს ვაჟთან იაკობ ჯუღაშვილთან შეხვედრების შესახებ 1920-იან წლებში. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს ამ გამორჩეული კაცის ჭაბუკობის წლების გაცნობა.

ცნობისათვის: მოგონების ავტორი ლეონიდ პრივალოვი 1921 წლის თებერვალში XI არმიას შემოჰყვა საქართველოში, აქ დარჩა და, ასე ვთქვათ, „ფესვი გაიდგა“. დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, მღეროდა თბილისის ოპერის თეატრში, იგი მამა იყო შემდგომში საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკის, ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ეკა პრივალოვასი.

ეს ასე მოხდა: 1925 წელს, თბილისის კონსერვატორიის დიპლომით „თავისუფალი მხატვარი“ (მაშინ ამ საპატიო სახელსაც ანიჭებდნენ) სოლისტად მიმიწვიეს ოპერის სახელმწიფო თეატრში. მას იმ დროს ხელმძღვანელობდა, როგორც დირიჟორი, ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილი. საერთოდ კი მე თეატრში მუშაობა დავიწყენე წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ.

თეატრში მაშინ მსახურობდნენ ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ერმოლოვ-ბოროზდინი, გოლოვინა, ვიქტორ პეტიპა – სახელგანთქმული მარიუს პეტიპას შვილი, სერგეი იაჩემენევი, ალექსანდრე პეტროვსკი და მევრი სხვა. ჩვეულებრივად, ზამთრის სეზონის დამთავრების შემდეგ ოპერის მსახიობები საქართველოს კურორტებზე ისვენებდნენ.

ჩემი მოსწავლე ვოკალის ხელოვნებაში იყო საქართველოს მაშინდელი კულტურის მინისტრის ტოროშელიძის ერთ-ერთი თანაშემწე, უნივერსიტეტის რექტორის მალაქია ტოროშელიძის შვილი, გოგი.

სწორედ მან ოპერაში სეზონის დამთავრების შემდეგ მიმიწვია თავისთან ქობულეთში.

როდესაც ჩავედი ქობულეთში და მივედი მათთან აგარაკზე, მეტად გაოცებული დავრჩი – არ ველოდი იქ ამდენ ხალხს. გოგიმ ჰამაკში მწოლ სიმპათიურ მამაკაცს უთხრა: „იაშა, შენ სამრეწველო კოოპერაციის აგარაკზე დიდი ოთახი გაქვს. წაიყვანე შენთან ჩვენი პრემიერი ლეონიდ პრივალოვი. ის იქ მშვიდად იქნება, არც ჩვენი ბავშვები შეაწუხებენ“.

ახალგაზრდა – იაშა – წამოდგა ჰამაკიდან, მოვიდა ჩემთან და თქვა: „დიდი სიამოვნებით! რამდენი ხანია მისი ოსტატობის თაყვანისმცემელი ვარ, სულ ვოცნებობდი მასთან შეხვედრას“.

იაშას ერთობ დიდი ოთახი ეკავა. ცხადია, დირექციას ესმოდა, რომ ისეთ სტუმარს, როგორიც იაკობი იყო, პატივი უნდა მიაგო!

ასე აღმოვჩნდი იაკობთან ერთად ერთ ოთახში. ერთად დავდიოდით პლაჟზე, ერთად ვსეირნობდით და ვსადილობდით სანატორიუმის სასადილოში. ჩვენ მეტად მეგობრულად და მხიარულად ვცხოვრობდით. მე, იაშას და მისი მეგობრის, რომელიც მასთან ჩამოვიდა დასასვენებლად, თხოვნით ბევრს ვმღეროდი. ეს მეგობარი იყო მეტად მხიარული და ამავე დროს მშვიდი, იშვიათად ერეოდა იაშას საქმიანობაში. როგორც გავიგე, ის მასთან ერთად სწავლობდა რომელიღაც სასწავლებელში.

ჩვენ მხიარულად და მეგობრულად ვატარებდით დროს, ვტკბებოდით პატარა კურორტ ქობულეთის ზაფხულის მშვენიერებებით.

იყო საინტერესო შეხვედრებიც ცნობისმოყვარე გოგონებთან. საქმე ისაა, რომ იაკობი ერთობ ლამაზი ბიჭი იყო – ღაჟღაჟა ლოყები, თაფლისფერი თვალების მეტად მეტყველი გამოხედვა, კეთილი, სიმპათიური ღიმილი. ეს ყოველივე იზიდავდა და კეთილად განაწყობდა მისადმი ყველას, ვისაც ეცნობოდა. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებდით მის, ყველაზე დიდი ოჯახის შვილობას, გასაგები გახდება, რატომ სურდა ასე ბევრ ადამიანს მისი გაცნობა და დაახლოება.

ცხადია, მეც მსიამოვნებდა მასთან სიახლოვე, ერთად ყოფნა მომხიბლავ ზღვაზე, მზეზე, ჰაერზე.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას ისიც, რომ იაშას წარმატებები ჰქონდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჯუღაშვილი იყო. ის უფრო მეტად იზიდავდა გარშემომყოფთ სიმპათიურობით, სიკეთით, გულღიაობით, თვინიერი ხასიათით. ერთადერთი ნაკლი შევნიშნე მე მაშინ მას: იყო მეტად მორიდებული და ყოველთვის იგნეოდა, როდესაც აცნობდნენ რომელიღაც ლამაზ ქალიშვილს. არადა, მისი გაცნობის მსურველები არ ილეოდნენ. უნდა ვივარაუდოთ, ბევრ მათგანს ჰქონდა იმედი – გაება მასთან რომანი ან უბრალოდ დაახლოებოდა მას.

ერთხელ, როდესაც ზღვაზე უნდა წავსულიყავით საბანაოდ, იაშამ უარი გვითხრა: „დღეს ვერ წამოვალ საცურაოდ, ბევრი საქმე მაქვს“. ჩვენ ავღელდით: „ეს როგორ? რა ისეთი ექსტრაორდინარული საქმე გაგიჩნდა, რომ გვაკარგვინებ სიამოვნებას ვიბანაოთ ულამაზეს გოგონებთან ერთად!“ ის იძულებული იყო ეღიარებინა: „ის მეუბნება, – და მოშორებით მდგარ სანატორიუმის დირექტორზე მიგვითითა, – რომ კოოპერაცია ბანკეტზე მეპატიჟება!“

– რასთან დაკავშირებით გიწყობენ ბანკეტს?

– მეც არ ვიცი, რატომ და რისთვის.

– კარგი რა, იაშა! ეს როგორ შეიძლება? სტუდენტ პრაქტიკანტს კურორტზე უწყობენ ბანკეტს. კარგად დაფიქრდი, ხომ იცი, უმალვე შეატყობინებენ მამაშენს, შენი შვილი რომელიღაც კოოპერაციებისგან ბანკეტებს იღებსო! იცოდე, არ მოეწონება.

ამ დროს ამ წამოწყების ხელმძღვანელიც მოვიდა ჩვენთან და უთხრა, წავიდეთ, ჩვენ დიდი ხანია მოუთმენლად გველოდებიანო.

იაშა ერთი წუთით დაფიქრდა და გადაჭრით უთხრა უარი. „იცით, არ შემიძლია, თავი მტკივა ძალიან“.

სამაგიეროდ, პლაჟზე წამოსასვლელად „თავი აღარ სტკიოდა“!

ქობულეთში მაშინ საკურორტო დარბაზი ყალიბდებოდა, სადაც იკრიბებოდნენ კურორტზე დამსვენებლები, თამაშობდნენ ჩოგბურთს, ჭადრაკს, ზოგი შესანიშნავ ქართულ ღვინოს სვამდა, საუცხოო ხილს მიირთმევდა.

ერთხელ დარბაზში საქართველოს ოპერის თეატრის წამყვანი მსახიობების პატარა ჯგუფი შეიკრიბა. ესენი იყვნენ ტენორი დავით ანდღულაძე, შემდგომში პროფესორი, ლირიკული ტენორი დავით ბადრიძე, ახალგაზრდა რეჟისორი მიხეილ კვალიაშვილი. მივედით მე და იაშაც – ის ვიღაც ქართველ გოგონასთან ერთად იყო. ძალიან თბილი საღამო იყო, სამახსოვროდ ფოტოსურათიც გადავიღეთ.

ჩვენი შესანიშნავი დასვენებაც, საუცხო დღესასწაულიც დასასრულს უახლოვდებოდა. უნდა მოვმზადებულიყავით წასასვლელად. წინ იყო გრძელი გზა, შემოქმედებითი მუშაობა, რეპეტიციები და ვარჯიშები, საკონცერტო გამოსვლები და ზამთრის საოპერო სეზონისთვის მზადება. იაშასაც ბევრი საქმე ელოდა – უნდა ჩართულიყო სურამის უღელტეხილზე ელექტროლოკომოტივების ათვისებაში, ამოქმედების, ჩართვებისა და გამორთვების საქმეში, მიეღო მონაწილეობა ამ ახალი საქმის მოწესრიგებაში – იაშა ხომ ამ დარგის სპეციალისტი იყო.

როგორც ნაცნობმა დამსვენებლებმა, ისე სანატორიუმის დირექციამ გულთბილი გაცილება მოგვიწყვეს. უხვად გამოგვატანეს გზაში საჭმელად მეტად გემრიელი ხორაგი, სადაც არც გოჭი აკლდა და არც ვარიები. და იყო, რასაკვირველია, ქართული ღვინოც.

გზაში კარგი დრო გავატარეთ, რასაც თან ახლდა შესანიშნავი გუნდური სიმღერები.

როდესაც საკვანძო სადგურ ხაშურში შევდიოდით, ვიღაცას გაეგო, რომ მეხუთე ვაგონში არის იაკობ ჯუღაშვილი. სადგურში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. იყო ხმაური და ერთი ამბავი. უეცრად თავში მომივიდა ერთი აზრი – გავაღეთ ფანჯარა და დავიწყე იგორის არია კომპოზიტორ ბოროდინის (ის ხომ წარმოშობით ქართველი იყო – გედევანიშვილი) ოპერიდან „თავადი იგორი“. კონცერტი დიდხანს გაგრძელდა. ხალხი ითხოვდა: „კიდევ! კიდევ!“

მალე თბილისის ოპერის თეატრში გაიხსნა სეზონი – ის გაიხსნა სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდებული მომღერლები, შესანიშნავ ორკესტრს უძღვებოდა სახელგანთქმული დირიჟორი ივანე ფალიაშვილი.

იაშას არ გამოუტოვებია არც ერთი სპექტაკლი. ხშირად მიდიოდა მსახიობებთან საგრიმიორორში, დიდხანს საუბრობდა მათთან. ის ყოველთვის სასიამოვნო სტუმარი იყო კულისებშიც და პარტერშიც. ზოგჯერ ემალებოდა ხოლმე კიდეც მის ნახვის მსურველ ახალგაზრდობას. როდესაც ბილეთს გვთხოვდა ხოლმე, გვეხვეწებოდა, მომეცით სულ ზევით, ქანდარაზეო.

მას მარტო ოპერა კი არ უყვარდა. ის მიდიოდა ხოლმე რადიოში. ცდილობდა, მოხვედრილიყო მომღერლის გვერდით სიმღერის ჩაწერის დროს.

იაკობი და მე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ბევრჯერ მოსულა ჩემთან სახლში მეგობართან ერთად, მარტოც. სიყვარულით ეფერებოდა ხოლმე ჩემს გოგონა ეკუნას. მოჰქონდა მისთვის საჩუქრები და ტკბილეული.

იაშა ჩინებულად თამაშობდა ჭადრაკს, ჩოგბურთს, კარგად მღეროდა, უკრავდა პიანინოზე. კომპანიაში ღვინოსაც სვამდა, თუმცა ზომიერად და არ თვრებოდა.

ერთხელ ოპერაში უნდა წავსულიყავი, იმ დღეს რიგოლეტო უნდა მემღერა. მოვიდა იაშა და მითხრა, რომ უნდა დამემშვიდობოს – ნახევარ საათში გადიოდა მისი მატარებელი მოსკოვში. გულთბილი დამშვიდობების შემდეგ მთხოვა, ვწვეოდი მას მოსკოვში, „ხომ იცი, როგორ მიყვარხარო!“

თუმცა ჩვენი შეხვედრა ვეღარ მოხერხდა.

ლეონიდ პრივალოვი
1930 წ.

სურათებზე: იაშა ჯუღაშვილი; ლეონიდ პრივაკოვი და იაშა ჯუღაშვილი მეგობარ გოგონებთან ერთად.

◎ პოეზია

ანდერძნამაგი ნაგრამისათვის

ისევ მუხთლობს...

აქვს სატყუარად „ნატო“ და „მაპი“,
ვირეშმაკაა და გვყიდის ღლაპი,
რომ უცხო თესლის
გავხდეთ მონები,
მაგრამ ცხადია და უდავოა,
რა წამს მის ხუთ წელს
ყავლი გაუვა,
უნდა გადადგეს დაუყოვნებლივ.

ისევ მუხთლობს და ისევ
პირშაობს,
თუმცა ვერ ასწრებს, პირი
გვიშაროს
და ვერც განაჩენს ვერ
აიცილებს.
დრო სასახლიდან
ბინძურ კვალს ხვეტავს
და ცოცხით დასდევს
ნაპრეზიდენტალს
20 იანვრის ღამის სიცივე.

წასვლა სჯობს წარმავალისა!

ორგზის ყავლაგასულს ზედიზედ,
მოდი, ვურჩიოთ პრეზიდენტს:
„წასვლა სჯობს წარმავალისა,
არ დაყოვნება ხანისა“,
თორემ ხან ეს სთქვეს, ხან ისა
და იმან წაახალისა,
შეარქვეს ბაქი-ბუქურას
„დემოკრატიის შუქურა“,
თუმცაღა იყო აშკარა,
ჯოჯოხეთს აკლდა მაშხალად!

ამბავი დემონ-კრატიისა

დაიმახსოვრე, ეს ცხოვრება,
ბაზუ, შარია,
როცა სამშობლო
აგრერიგად-ნაბუშარია,
თუ არ მოჰკითხე სოროსის და
სხვებს გრანტიანთ,
დემონ-კრატია რად მოგვყიდეს
დემოკრატიად?!

ბედობის დღის მოლოდინი

ქვეყანა რომ ფეხზე დადგეს,
ვიცოცხლოთ და ვიმუშაოთ,
ამ თვის თხუთმეტს –
ბედობა დღეს
უნდა შევხვდეთ უმიშაოდ!

ალექსანდრე შენგელია
ქ. ქუთაისი

◎ „მეტყველი“ ფრესკები

მიქელანჯელოს „ბარომეტრი“

რომის **მცხოვრებნი, როცა კი ამინდის პროგნოზის გაგება სურთ, ადგილობრივი მეტეოსამსახურის მონაცემებზე მეტად ძველისძველ „ბარომეტრს“ ენდობიან.**

ამ „ბარომეტრის“ როლს... ვატიკანში, სისტის კაპელაში მიქელანჯელო ბუონაროტის ფრესკები წარმოადგენენ: თუკი ისინი მუქდებიან, მაშასადამე წვიმა და ავდარია მოსალოდნელი. ხოლო თუკი ეს უკვდავი ქმნილებები ფერთა მთელი ბრწყინვალეებითა და სიხასხასით კიაფობენ, მაშინ ავდარი მოსალოდნელი არ არის. ადგილობრივი ხალხი ირწმუნება, რომ ფრესკები არასდროს ცდებიან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო „მთავარ ექსპროპრიატორს“ ეძებს

„პრეზიდენტის რუხ კარდინალზე“ საერთაშორისო ძებნას აცხადებენ

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოითხოვა გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა იუსტიციის ყოფილ მინისტრზე ზურაბ ადეიშვილზე, რომელსაც ქვეყანაში ბევრი მიიჩნევს პრეზიდენტ სააკაშვილის რუხ კარდინალად, — მას ბრალს სდებენ პატიმართა წამებასა და სამხილების ფალსიფიკაციაში. ადეიშვილის დაპატიმრებამ და ექსტრადიციამ, შეიძლება, მიგვიყვანოს საქართველოში საკუთრების ახალ გაყოფასთან, ვინაიდან ათასობით ბიზნესმენი მას ბრალს სდებს ქონების ამოღებაში სახელმწიფოს სასარგებლოდ და მოითხოვენ ექსპროპრიირებულის დაბრუნებას.

„ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ ერთბაშად წაყენებულია ბრალდება სისხლის სამართლის ოთხი მუხლით: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ორგანიზაცია; პატიმართა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზაცია; სამხილების ფალსიფიკაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეზე და დანაშაულებრივი მოქმედებების პროვოცირება“, — აცნობა ჩვენს გაზეთს საქართველოს მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ხათუნა პაიჭაძემ.

როდესაც არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე ოპოზიციურმა ტელეარხებმა აჩვენეს პატიმართა გაუპატიურების შოკისმომგვრელი ვიდეო, მთავრობის ტელევიზიით აჩვენეს სიუჟეტი ცემების დადგმითი კადრებით და განაცხადეს ზედამხედველების დაპატიმრების შესახებ, რომლებიც თითქოსდა მოქმედებდნენ ოპოზიციის დაკვეთით. პროკურატურამ კი გამოაცხადა, რომ ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის ამ ციხის ყოფილმა თანამშრომელმა ვლადიმერ ბედუკაძემ ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერისგან, მილიარდერისა და ამჟამინდელი პრემიერის ბიძინა ივანიშვილისგან ორი მილიონი დოლარი მიიღო.

საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს მიმართვას ინტერპოლში ზურაბ ადეიშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ. ცნობილია, რომ მან დატოვა ქვეყანა და იმალება გაურკვეველი მიმართულებით 2012 წლის 2 ოქტომბრიდან. იუსტიციის სამინისტრომ უკვე გააუქმა სამი დიპლომატიური და ერთი საერთო სამოქალაქო პასპორტი, რომელიც წინა წლებში გაიცა ექსმინისტრის სახელზე. მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია. „ბოლოს ჩემი წინამორბედი ნახეს ბუდაპეშტში“, — განაცხადა იუსტიციის ახალმა მინისტრმა თეა წულუკიანმა.

ზურაბ ადეიშვილის დაპატიმრებამ და ექსტრადიციამ შეიძლება გამოიწვიოს ხმაურიანი სასამართლო პროცესი არა მხოლოდ „ციხის სკანდალთან დაკავშირებით“, არამედ ბიზნესმენებისგან საკუთრების ამოღების ბრალდებითაც.

ხათუნა პაიჭაძის სიტყვებით, „პროკურატურას მიმართა 8 ათასმა მოქალაქემ, რომლებიც ბრალს სდებენ ადეიშვილს საკუთრების ჩამორთმევაში“. როგორც ჩვენმა გაზეთმა გამოარკვია, დაზარალებული ბიზნესმენების განცხადებაში ნათქვამია, რომ ადეიშვილი ემუქრებოდა მათ, რომ აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს გადასახადების დამალვის ან სხვა ფინანსურ დარღვევათა ბრალდებით, თუ ისინი ქონებას არ აჩუქებენ სახელმწიფოს (მიწას, აქციებს, საწარმოებს და ა.შ.).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ადეიშვილის საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ. „არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ახალი ხელისუფლება ახორციელებს დევნას მათზე, ვინც ჩვენს ქვეყანაში დაამარცხა დანაშაულობა და კორუფცია“, — ამბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ პარლამენტის წევრი აკაკი ბობოხიძე. დამოუკიდებელი ექსპერტები კი გვაფრთხილებენ: პროცესის მიმდინარეობამ შეიძლება მიგვიყვანოს კატასტროფულ შედეგებამდე ეკონომიკაში. „თუ ისინი დაიწყებენ საკუთრების დაბრუნებას ყოფილი მფლობელებისთვის, ეს მიგვიყვანს ეკონომიკის კრახამდე. იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება არ იქნება ამდენად უგუნური“, — განაცხადა პოლიტოლოგმა მიხეილ თავხელიძემ. მისი სიტყვებით, „პოსტსაარჩევნო რევანშიზმის ტალღაზე ბევრმა დაიწყო უკუმოთხოვნა იმისი, რაც სავსებით კანონიერად დაკარგა კრედიტებზე გადაუხდელობის ან გადასახადების დაფარვის მიზეზით“. „რვა ათასი საქმე ბიზნესის ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით — ეს ათასია წელიწადში! ქართული ეკონომიკის მასშტაბების გათვალისწინებით ასეთი რამ, უბრალოდ, შეუძლებელია“, — ეჭვობს ექსპერტი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი მინისტრის ადგილსამყოფელი უცნობია, ოჯახის შუამავლობით, რომელიც თბილისში დარჩა, მან დაიქირავა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მოთხოვნის ქართველი ადვოკატი გოჩა სვანიძე. მან კი უკვე გამოაცხადა: „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებს თავს დამნაშავედ მისთვის წაყენებული ბრალდებების არც ერთ პუნქტში“.

Коммерсантъ

„მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელი“

საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი შეიძლება მალე გათავისუფლდეს. სამიდან ორი სისხლის სამართლის საქმე, რომელთა მიხედვითაც ის გაასამართლეს, ჩაიშალა განმეორებით სასამართლოებზე. უკანასკნელ საქმეს განიხილავენ პარასკევს. პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ახალი ხელისუფლება კულუარულად ითანამშრომლებს ყოფილ მინისტრთან, მაგრამ საჯაროდ მასთან დისტანციაზე იქნებიან.

შეგახსენებთ, ირაკლი ოქრუაშვილი მრავალი წლის განმავლობაში იყო მიხეილ საკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი. თუ 2000 წლის დასაწყისში, როდესაც სახელმწიფოს მომავალი მეთაური იყო იუსტიციის მინისტრი, ოქრუაშვილი გახლდათ მისი მოადგილე. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მას ეკავა საკვანძო პოსტები მთავრობაში, სათავეში ედგა ძალოვან უწყებებს, მათ შორის თავდაცვის სამინისტროსაც, გენერალურ პროკურატურასაც, და ყოველ პოსტზე ითვლებოდა მთავარ „ქორად“. სააკაშვილი ოქრუაშვილს თავის „პირად მინისტრს“ უწოდებდა.

მაგრამ 2006 წელს ისინი ერთმანეთს წაეკიდნენ და ოქრუაშვილმა დატოვა მთავრობა, ერთი წლის შემდეგ პირდაპირ ტელეეთერში გამოვიდა მკვეთრი ბრალდებით პრეზიდენტის მისამართით, კერძოდ, უსაყვედურა სააკაშვილს თავისი ოჯახის ინტერესების ლობირება დიდი საფინანსო გარიგებების დადების დროს, სამხრეთ ოსეთში შეჭრის მომზადება, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გათიშვის გეგმის დამუშავება, აგრეთვე, განზრახვა — მოახდინონ მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაცია.

მას შემდეგ ოქრუაშვილი სააკაშვილის უბოროტეს მტრად იქცა. 2007 წლის შემოდგომაზე ის გაიქცა ქვეყნიდან, მოგვიანებით მიიღო პოლიტიკური დევნილის სტატუსი საფრანგეთში. სანამ ის უცხოეთში იმყოფებოდა, ქართულმა თემიდამ მოასწრო მისი გასამართლება სისხლის სამართლის საქმეთა მთელი „თაიგულით“, რომლებიც ბევრმა ექსპერტმა ფაბრიკაციად მიიჩნია.

საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 20 ნოემბერს ოქრუაშვილი დაბრუნდა სამშობლოში, თუმცა, პირდაპირ აეროპორტში ის დააპატიმრეს, მაგრამ ქართულ პრესაში უმალვე გაჩნდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ დევნილი მინისტრი დაბრუნდა, მიიღო გარანტიები ახალი ხელისუფლებისგან. საჯაროდ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამას უარყოფდა. როგორც პრემიერი ამბობდა, ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნების შესახებ მან გაიგო ამ უკანასკნელის მხოლოდ დაპატიმრების შემდეგ.

„არ გამოვრიცხავ, რომ რომელიღაც მინისტრს მასთან ჰქონდა კავშირი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ მეგობრობა და ამას არაფერი საერთო არ ჰქონია სასამართლოსთან. გპირდებით, რომ არანაირი გარანტია არავის მიეცემა, იქნება ეს ოქრუაშვილი, მე თუ პრეზიდენტი. თუ ოქრუაშვილი დამნაშავეა, ის აუცილებლად აგებს პასუხს, ხოლო თუ მართალი — გათავისუფლდება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

თბილისელი პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე მიიჩნევს, რომ ამჟამინდელი მმართველი კოალიცია ითანამშრომლებს ოქრუაშვილთან, თუმცა, არც მეტად აქტიურად. „პირიქით, მასთან დაკავშირებით შენარჩუნებული იქნება დისტანცია. ეტყობა, არის კულუარული თემები, რომელთა მიხედვითაც ისინი ითანამშრომლებენ, ვინაიდან ოქრუაშვილი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელია და შეუძლია ბევრი რამის თქმა. ემიგრაციიდან ის ნაწილობრივ რაღაცას უკვე უყვებოდა სხვადასხვა ტელეარხებს, მაგრამ, შეიძლება, არის კიდევ ფაქტებიც, რომლებიც მან იცის და ჯერ არ გაუმჟღავნებია“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში რცხილაძემ.

მაგრამ გახადოს ოქრუაშვილი ერთ-ერთ თავის პიროვნებად, კოალიცია, პოლიტოლოგის სიტყვებით, არ შეეცდება. „მას ამჟამად არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი რეიტინგი. მან თავად მოახდინა თავისი თავის დისკრედიტაცია სააკაშვილთან აქტიური თანამშრომლობის ფაქტით ყოფილი რეჟიმის წლებში. ყველას ახსოვს სატელევიზიო კადრები, როდესაც იგი, პროკურორად ყოფნის დროს, აპატიმრებდა ხალხს, სძალავდა მათ ფულს და ა.შ.“,— შეგვახსენა მან.

რცხილაძემ არ გამორიცხა, რომ ოქრუაშვილმა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღო გარკვეული გარანტიები. „ბრალდებანი თავდაცვის ყოფილი მინისტრის მისამართით წაყენებული იყო ყოფილი ხელისუფლების მიერ, რომელიც გაბრაზდა მასზე იმის გამო, რომ თავის დროზე ის გადავიდა ოპოზიციის მხარეს. ახლა ოქრუაშვილის გასამართლება და მისი ციხეში ჩასმა სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი ბრალდებით, იქნებოდა არალოგიკური, ვინაიდან მართლაც ასეთ გარანტიებს შეიძლება ჰქონდა ადგილი. თუმცა, ეს ყველაფერი მოხდა სასამართლოზე, ღიად. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ, ყველაფერი ხდება ლეგიტიმურად და არა კულუარულად“, — დაასკვნა მან.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ხმელთაშუა ზღვაში უდიდესი სწავლების პერიოდში რუსეთის ხომალდები სირიის სანაპიროსთან განახორციელებენ საბრძოლო მანევრებს

თავდაცვის სამინისტროში დაასახელეს ხომალდები, რომლებიც ამჟამად მიემართებიან რეგიონისკენ ფლოტთაშორის სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს ყველაზე მასშტაბური სწავლებაა უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში. იქ უარყოფენ, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების კონცენტრაცია როგორმე იყოს დაკავშირებული სირიის გარშემო შექმნილ სიტუაციასთან. მაგრამ დასავლეთში შეშფოთებული არიან.

* * *

აპოფისი არ წარმოადგენს საფრთხეს დედამიწისთვის, გვამშვიდებენ „ნასაში“



ადრე მიაჩნდათ, რომ 2036 წელს შეიძლება მოხდეს აპოფისის დედამიწასთან შეჯახება, რაც ძლიერ აფეთქებას გამოიწვევს. მაგრამ ასტეროიდის დედამიწის გვერდით ჩაფრენის დროს 9 იანვარს მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომავალში შეტაკების შანსი მილიონის ერთ ნაწილზეც უფრო მცირეა.

* * *

„კომერსანტმა“ გაიგო ობამას ემისრის მისიის შესახებ მოსკოვში — იგი გადასცემს საიდუმლო გზავნილს

გამოცემის მონაცემებით, იანვრის ბოლოს ბარაკ ობამას ინაუგურაციის შემდეგ მრჩეველი ერვნული უშიშროების საკითხში ტომ დონილონი ჩამოუტანს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს წერილს, რომელშიც გადმოცემული იქნება ვაშინგტონის მიერ შეთავაზებული ზომები ურთიერთობათა მოწესრიგებისთვის. გზავნილის მთავარი მიზანია, დაარწმუნოს კრემლი, რომ „გადატვირთვა“ დამარსული არ არის.

* * *

სპარსეთის ყურეში ამერიკის ატომური წყალქვეშა გემი შეეჯახა მეთევზეთა ხომალდს

სუბმარინის რეაქტორმა დაზიანება არ მიიღო. ასევე ზიანი არ მიადგა ძალოვანი დანადგარების სისტემას და არ არსებობს საბაბი შეშფოთებისთვის წყალქვეშა გემის წყალგაუმტარებლობასთან დაკავშირებით, ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მეხუთე ფლოტის სარდლობის განცხადებაში. როგორც ჩანს, ხომალდზე საერთოდ ვერც შენიშნეს ინციდენტი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თანამემამულენი

„უფალმა დალოცოს მცხეთის ამ წმიდა ადგილიდან ყოველი უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულე და მალე დადგეს ის ბედნიერი დღე, როცა უფალი ჩვენი იესო ქრისტე იქნება ყოველი ქართველის მოძღვარი, ჩვენი მწყემსი და ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით სამწყსო მისი.

ქართველნო, ერთად ღვთისაკენ, ამინ!„

კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ქადაგებიდან

სადღესასწაულო წირვა ფლორენციის ქართულ სამრევლოში

ნება მიბოძეთ, გავიხსენო სადღესასწაულო წირვა ფლორენციის ქართულ სამრევლოში.

ჩატარების მოტივი: დასავლეთ ევროპის ეპარქიის დაფუძნების 10 წლისთავი და ფლორენციის წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის ახლად ხელთქმნილი კანკელის კურთხევა.

წირვა აღავლინა დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველმა, მიტროპოლიტმა აბრაამმა (გარმელია), 19 სასულიერო პირთან ერთად.

ტაძარში მრავლად იყო მრევლი, მათ შორის დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებიც.

ახალშექმნილი სასულიერო ხელოვნების დიდებული ნიმუში — კანკელი ღვთისადმი სიყვარულის განივთებას გამოხატავდა. კანკელის კურთხევისას ხატებს ღვთაებრივი ნათლის სხივი ადგათ. ამ ფონზე ტაძარში გამოფენილი საეკლესიო და საქართველოს სახელმწიფო დროშები ღვთის სახლისა და საქართველოს ერთიანობაზე მეტყველებდა.

წირვის დასასრულ მიტროპოლიტმა აბრაამმა იქადაგა, თუ ვის მიერ და როდის დაფუძნდა დასავლეთ ევროპის ეპარქია, რა გაკეთდა განვლილ პერიოდში და რა გაკეთდება სამომავლოდ. მან თავისი და მრევლის მადლიერება გამოხატა ჩვენი ძმების — კათოლიკეებისა და, საერთოდ, იმ ადამიანების მიმართ, რომელთა თანადგომით ტაძარი გადმოქართულდა. ამასთან ყურადღება გამახვილა ქვეყნის სულიერი მამის მოწოდებაზე, წარმატებულები დავუბრუნდეთ სამშობლოსო.

* * *

როგორ მოვედით ამ დღემდე?

ქალაქ რომის სამრევლოს მოძღვარმა მამა იოვანემ მილანში წირვისას ტოსკანას რეგიონიდან (აერთიანებს რამდენიმე ქალაქს, მათ შორის: ფლორენციას, ემპოლს, პრატოს, პიზასა და ა.შ.) ჩასულ მრევლს შესთავაზა, მათივე საცხოვრებელ ადგილებზე მოესმინათ წირვა-ლოცვა. ეს თაოსნობა მრევლის ოცნებას დაემთხვა. ამასთან აქტიური ქალბატონების ძალისხმევით მიაღწიეს შეთანხმებას ემპოლში ყოველი თვის მე-3 ხუთშაბათს, პიზაში ყოველი თვის მე-2 და მე-4 კვირას, პრატოში კი ყოველი თვის 1-ელ და მე-3 კვირას საგანგებოდ გამოყოფილ ტაძრებში აღვლენილიყო ლოცვები. მეტიც, ფლორენციაში, დესერალის ქუჩის №102-ში ყოფილი კათოლიკური ეკლესია ხელშეკრულებით ქართულ სამრევლოს გადაეცა და იქ წირვა-ლოცვები ყველა ხუთშაბათს და კვირას აღევლინება, მისი მრევლი არა მარტო ფლორენციის, არამედ ტოსკანას რეგიონის ქართველობაა.

ქ. ემპოლში პირველად და მეორედ ლოცვა რომის სამრევლოს მოძღვარმა მამა იოვანემ აღავლინა. ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ იმ დღეების ემოციებით გამოწვეული ცრემლები ემპოლის მრევლს არასოდეს დაავიწყდება.

შემდგომ წირვა-ლოცვები აღავლინა მამა ანდრიამ. იგი ძირითადად ფლორენციის ტაძარში მოღვაწეობს და ამავდროულად — ზემოთ დასახელებულ ქალაქებშიც.

პიზის მრევლის მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება მამა ანდრიას აღვლენილი პირველი ლოცვა პიზაში, რომელსაც მრევლის დასწრების თვალსაზრისით „საგამოცდო“ ფუნქცია ეკისრებოდა. ეს რითი გამოიხატებოდა? მრევლის დასწრება უნდა ყოფილიყო დასაშვებ რაოდენობაზე მეტი და ამ შემთხვევაში მოგვცემდნენ მოქმედ ტაძარში „შეთავსებით„ ლოცვისა და წირვის უფლებას.

საბედნიეროდ, მრევლის დასწრებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ჩვენი თხოვნაც (პიზაში მომუშავე ერთი ქალბატონის ძალისხმევით) დადებითად გადაწყდა.

ქ. პიზის მრევლი ლოცულობს წმიდა აპოლონიას ქ. №13-ში, მე-7 საუკუნეში აგებულ კათოლიკურ ტაძარში (იგი მხოლოდ ინვალიდებისათვის არის განკუთვნილი), რომლის პრეზიდენტი ექიმი ტერეზაა. მასთან წინასწარი შეთანხმებით ჩვენთვის ტაძრის კარი ყოველთვის ღიაა. ეს „ზიარი„ ტაძარი მამა ანდრიას კურთხევით ქართული მრევლისათვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრად იწოდება.

იმ ღირსსახსოვარი ჟესტისათვის, რომ კათოლიკებმა ქართულ ენაზე ლოცვის შესაძლებლობა მოგვცეს, ფლორენციის სამრევლო ადგილობრივ სამღვდელოებასა და მრევლს დიდ მადლობას უხდის.

* * *

მამა ანდრია ლაცაბიძე 28 წლისაა, იღუმენია, მართლმადიდებელი, ცხოვრობს ფლორენციაში.

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი (ფინანსები და საბანკო საქმეები) და თბილისის სასულიერო აკადემია. აქვს საქართველოში სასულიერო მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. იყო წალკის ღვთისმშობლის შობის, მარტყოფის ყოველთა წმიდათას, თბილისის თაბორის მთის ფერისცვალების მამათა მონასტერში, შემდეგ კი რომის სამრევლო ტაძარში.

კეთილად მეოცნებეა. უნდა, რომ ცხონების გზაზე მეტი ადამიანი დააყენოს და სწამს, რომ მათთან ერთად გამთლიანებულ ლოცვა და ძლიერ საქართველოში იღვაწებს.

* * *

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილება „დასავლეთ ევროპის ეპარქიის დაფუძნების შესახებ“ 2002 წლის 17 ოქტომბერს მიიღეს. ეს იმ პასუხისმგებლობის ნათელი და მკაფიო გამოხატულებაა, რასაც ჩვენი დედაეკლესია ბედის უკუღმართობის გამო უცხოეთში წასული ჩვენი თანამემამულეების მიმართ გრძნობდა.

ეპარქიის დაფუძნებამ უცხოეთში მყოფ ასობით ქართველს დედაენაზე წირვა-ლოცვის მოსმენის შესაძლებლობა მისცა, ეკლესიის საშუალებით თავიანთ სამშობლოსთან მჭიდრო კავშირში არიან.

— ვხარობთ იმით, რომ ჩვენს ეპარქიაში 20-მდე სასულიერო პირი მსახურობს, არის სამრევლოებიც, სადაც სასულიერო პირების დანიშვნას ელოდებიან. ამ მიმართებით მუშაობა მიმდინარეობს, — განაცხადა მეუფე აბრაამმა და მრევლი დააიმედა, რომ ის, რისი გაკეთებაც დღეს ვერ მოესწრო, ხვალინდელი დღის ამოცანაა და, იმედია, რომ ერთობლივი ძალისხმევით მიზანი მიიღწევა.

მეუფე აბრაამმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი ადამიანების ცხოვრებაში დედაეკლესიის წვლილზე, იმ თანადგომის მნიშვნელობაზე, რამაც ქართულ მრევლს საშუალება მისცა, ტაძარში ყველაფერი გაექართულებინათ და ის ატმოსფერო შეექმნათ, რაც სამშობლოს მოაგონებდათ.

— იმედი მაქვს, რომ უფრო გავძლიერდებით და ღვთის შეწევნით კვლავ შევიკრიბებით საქართველოში, რომელიც უკეთესი იქნება, ვიდრე იყო გუშინ, — ბრძანა მან და მრევლს შეახსენა საქართველოს სულიერი მამის, უწმინდესი და უნატარესი ილია II-ის დალოცვა და კურთხევა, რომ ყველა ქართველისათვის ცხოვრების მთავარი მიზანი სამშობლოში დაბრუნება უნდა იყოს.

* * *

სადღესასწაულო წირვის შემდგომ უძვირფასეს ისტორიულ დარბაზში გაიმართა ტრაპეზი, რომელსაც მამა ანდრია თამადობდა. მრევლმა და სასულიერო პირებმა დალოცეს ქართველი ერი და წმიდა სამებას საქართველოს გამთლიანება შესთხოვეს.

განსაკუთრებული სიყვარულით შეისვა საქართველოს სულიერი მამის — ილია II-ის სადღეგრძელო. დღეს, როდესაც საშუალება მომეცა, ჩამოვსულიყავი მშობლიურ ქალაქში, თანაც იმ დღეებში, როცა ქვეყანა უწმინდესისა და უნეტარესის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავს აღნიშნავს, ჩემდა უნებურად ვიმეორებ ფლორენციაში იმ ტრაპეზის მონაწილე ერისა და ბერის სიტყვებს:

— ღმერთო, გვიცოცხლე და გვიდღეგრძელე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, იმედი და ნუგეში ჩვენი ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანისათვის.

* * *

როცა ჩემს მშობლიურ ქუთაისში სატელევიზიო ეკრანიდან ვუცქეროდი და ვუსმენდი უწმიდესისა და უნეტარესის იუბილეს, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რა ღვთიური სიყვარულით უყვარს ჩვენს ხალხს ერის ჭეშმარიტი მამა.

მისი მოწოდების პასუხად იტალიიდან საქართველოს უკვე დაუბრუნდნენ თბილისელები ნანა კეკიშვილი, ნინო მუკბანიანი, ქუთაისელები — მაია აბესაძე, ციცინო გოგოლაძე, ნათია კობახიძე და სხვები.

მათ სწამთ, რომ შარშანდელი პირველი ოქტომბრის შემდგომ საქართველოში შეიქმნება ის პირობები, რომ უკან, იტალიაში საცხოვრებლად დაბრუნება უკვე აღარ გახდება საჭირო.

სამწუხაროდ, ჩემი პირობები პირადად მე ჯერჯერობით შინ დარჩენის საშუალებას არ მაძლევს და იმით ვნუგეშობ, რომ ჩემი რამდენიმე დღით ჩამოსვლა ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენას დაემთხვა...

წერილი მინდა დავასრულო სიტყვებით საქართველოში ჩემი მოძღვრის, ქუთაისის სიონის (ბაგრატის) ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ ზინობის (ჟვანიას) ახალგამოცემული წიგნიდან, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების 35 წლისთავს ეძღვნება: „სიყვარული არასოდეს გადავა“.

დიახ, არასოდეს გადავა, რამეთუ სიყვარული ღმერთია.

ლური მაღლაფერიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის წევრი

სურათებზე: ქართული სასულიერო და სახელმწიფო დროშები ფლორენციის წმიდა ნინოს სახელობის ტაძარში; ქართველი მრევლი ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში.

ავტორის ფოტო

◎ აკადემია

ღვთისკაცობა რჩეულთა ხვედრია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საპატრიარქოსთან ერთად აკადემიის სხდომათა დარბაზში საიუბილეო შეკრებით აღნიშნავს დიდი ქართველი სწავლულისა და ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების ლამაზ თარიღს — 150 წლისთავს. სხდომას, რომელიც 16 იანვარს გაიმართება, შესავალი სიტყვით გახსნის და წარუძღვება აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე; შეკრებაზე გამობრძანდება კათოლიკოს-პატრიარქი, აკადემიის საპატიო აკადემიკოსი ილია მეორე; „სიტყვა ექვთიმე თაყაიშვილზე“ — ასეთი მოსენებით წარდგება აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

ბატონმა როინმა ჩინებული ნობათი მიუძღვნა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. პატარა წიგნის „ექვთიმე ღვთისკაცის სახით“, 24-გვერდიან ბროშურაში ერთობ შთამბეჭდავად წარმოჩნდა საქართველოს დიდი მეჭურჭლეთუხუცესის პორტრეტი, იმ გამორჩეული მამულიშვილისა და მეცნიერისა, რომელიც 2002 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თაოსნობით წმინდა სინოდმა სრულიად დამსახურებულად შერაცხა წმინდანად. აქედან მოკიდებული იწოდება ის ღვთისკაცად და ეგეც ხომ გამორჩეულობაა, როგორიც არცთუ ბევრს ღირსებია ქართველთაგან.

„1953 წლის 21 თებერვალი... გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი. იგი გულით დაიტირა ქართველმა ხალხმა, მაგრამ ცხედარი ორმოციოდე კაცმა თუ გააცილა. საქართველომ იცოდა ფასი გარდასულისა, თუმცა მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ეს დაფასება მხოლოდ მომავალში წარმოჩნდა“ — ასე იწყება როინ მეტრეველის ნაშრომი. დამთავრებით კი აი, როგორ მთავრდება: „ექვთიმე თაყაიშვილი მოწამეობრივი ცხოვრებითა და განსაცვიფრებელი მოღვაწეობით მტკიცედ დამკვიდრდა უკვდავ ქართველ მამულიშვილთა სამარადჟამო პანთეონში... 90 წლისა გარდაიცვალა... თებერვლის ერთ ჟამიან დღეს 40-ოდე კაცმა გააცილა მისი ცხედარი და თითოეულმა თითო მუჭა მიწა მიაყარა. ორმოციოდე კაცმა... დღეს საქართველომ იცის თავისი დიდი შვილის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ფასი...“

ამ წერილს კი ერთი გარდათქმული ნაწყვეტით დავასრულებ იმ ლექსიდან, რომელიც ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილს დაუსტამბავ დიდმა ილიამ (მართალმა) თავის გაზეთში: „ვაშა ექვთიმე! გვიმრავლოს მამულში შენებრი შვილი!..“

თამაზ ეგანოიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭიდაობა

ოთხი მედალი – ბაქოდან



ბაქოში მუშვიგ ისაევის ტრადიციული საერთაშორისო მემორიალი გამართა. საასპარეზოდ აზერბაიჯანის, საქართველოს, რუსეთისა და უზბეკეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკმა ფალავნებმა მოიყარეს თავი. კვარცხლბეკზე ოთხი ჩვენებური ავიდა.

54 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ყაზარაშვილმა გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძელ არიფ ჰუსეინოვს აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა. ასევე ოქროს მედალი მოიპოვა 100 კილოში გივი მაჭარაშვილმა, რომელმაც ფინალში აზერბაიჯანელი რუსტამ ხაჩიბეროვი დაამარცხა. მიზნის მისაღწევად მცირედი დააკლდა ტარიელ გაფრინდაშვილს (69 კგ) – ქართველმა მოჭიდავემ ბოლო ორთაბრძოლა რუსეთელ აბუმუსილ მუხიდინოვთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა, 50 კილოში გიორგი პასიკაშვილს მესამე ადგილი ერგო.

ბაქოში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს სათავეში ედგა თამაზ ბენდიანიშვილი, რომელიც ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ახალი მწვრთნელით – ემზარ ბედინეიშვილით ჩაანაცვლა.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

სეზონი 15 იანვარს განახლდება

საქართველოს საკალათბურთო სეზონი 15 იანვარს ოლიმპიური ჩემპიონების – მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის მემორიალით განახლდება. შეჯიბრებაში სუპერლიგის 9 გუნდი იასპარეზებს, რომლებიც ორ ჯგუფში გადანაწილდნენ.

A ჯგუფი: „ოლიმპი“, „არმია“, „დინამო“, თსსუ, სტუ;

B ჯგუფი: შსს, „რუსთავი“, თსუ, „სოხუმი“.

შეხვედრები ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართება:

15 იანვარი. „დინამო“ – სტუ (14.00), თსსუ – „არმია“ (16.00)

16 იანვარი. „არმია“ – სტუ (14.00), თსსუ – „ოლიმპი“ (16.00)

17 იანვარი. სტუ – „ოლიმპი“ (12.00), თსუ – შსს (14.00), „რუსთავი“ – „სოხუმი“ (16.00), „არმია“ – „დინამო“ (18.00)

18 იანვარი. „რუსთავი“ – თსუ (12.00), სტუ – თსსუ (14.00), შსს – „სოხუმი“ (16.00), „ოლიმპი“ – „დინამო“ (18.00)

20 იანვარი. „დინამო“ – თსსუ (12.00), „სოხუმი“ – თსუ (14.00)

შსს – „რუსთავი“ (16.00), „ოლიმპი“ – „არმია“ (18.00).

ფინალი 22 იანვარს 18.00 საათზეა დანიშნული.

ოლიმპიური ჩემპიონების მემორიალის დამთავრებისთანავე საქართველოს თასის გათამაშება დაიწყება. **საკვალიფიკაციო ეტაპზე 22 იანვარს შეხვდებიან:** „ბათუმი“ – სტუ, „სოხუმი“ – თსსუ. ამ წყვილებში გამარჯვებულები 23 იანვარს (14.00) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. უძლიერესს მეოთხედფინალში (24 იანვარი, 12.00), „არმია“ ელის. **ამავე დღეს ითამაშებენ:** შსს–თსუ (14.00), „რუსთავი“ – „ქუთაისი“ (16.00), „ოლიმპი“ – „დინამო“ (18.00). ნახევარფინალები 25 იანვარს, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი სპორტის სასახლეში 27 იანვარს 18 საათზე გაიმართება.

ლევანი ცინცაძე

წაგებული ომის გმირი

ევროლიგის მე-2 ჯგუფური რაუნდის III ტურის გმირი ბამბერგის „ბროზეს“ სლოვენიელი სნაიპერი ბოსტჟან ნაჭბარი გახდა.

მან მოსკოვში გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტ ცსკა-სთან მძაფრ ბრძოლაში 83:90 წაგებულ შეხვედრაში გერმანულ კლუბს 35(!) ქულა შესძინა, თუმცა ხრიაპას (19 ქულა), ხრისტმასისა და თეოდოსიჩის (17-17 ქულა) ძალისხმევით მასპინძლებმა მაინც გატეხეს მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობა და განგრძობენ უდანაკარგოდ ასპარეზობას.

არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ათენში, სადაც „პანათინაიკოსს“ საკმაოდ ძვირად დაუჯდა მალაგის „უნიკახასთან“ დასკვნით პერიოდში მოპოვებული უმძიმესი გამარჯვება – 78:73.

სატურნირო სტრატეგიის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი წარმატება ელადელთა ქარიზმატული ლიდერის დიმიტრიოს დიამანტიდისის მიღებულმა სერიოზულმა ტრავმამ დაჩრდილა.

ასევე უკანასკნელ მეოთხედში გადაწყდა თელ-ავივის „მაკაბისა“და სტამბოლის „ფენერბახჩეს“ პრინციპული დუელის ბედი, რომელშიც სტუმრებს ნადვილი ქარიშხალი დაატყდათ თავს – 17:38(!) ასეთმა ნოკდაუნმა განაპირობა კიდეც თურქების ზედიზედ მესამე მარცხი – 73:91.

კიდევ ერთმა ბოსფორულმა გრანდმა „ბეშიქთაშმა“ დებიუტშივე გამოიჭრა ყელი, როცა საწყისი პერიოდი 7:27(!) დათმო ვიტორიაში „კახა ლაბორალთან“. ასეთი შოკური თერაპიის შემდეგ ბასკებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე მორიგ მოგებამდე – 77:51.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

თებერვალში ბელგიით იწყებენ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, რომელმაც შარშან ევროპის ერთა თასი მოიგო, ახალ სეზონს 2 თებერვალს გასვლითი მატჩით დაიწყებს - ბელგიაში ამ ქვეყნის გუნდს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნებს ყველაზე საინტერესო პაექრობა მაინც 23 თებერვალს ელით: სოჭში სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს გაუწევენ მეტოქეობას.

ახლა კი წლევანდელი ევროპის ერთა თასის გათამაშების კალენდარს გაგაცნობთ.

I ტური
2 თებერვალი.
ბელგია-საქართველო,
პორტუგალია-რუმინეთი,
რუსეთი-ესპანეთი.

II ტური
9 თებერვალი.
საქართველო-პორტუგალია,
რუმინეთი-რუსეთი,
ბელგია-ესპანეთი.

III ტური
23 თებერვალი.
რუსეთი-საქართველო,
ესპანეთი-რუმინეთი,
პორტუგალია-ბელგია.

IV ტური
9 მარტი.
საქართველო-ესპანეთი,
პორტუგალია-რუსეთი,
ბელგია-რუმინეთი.

V ტური
16 მარტი.
რუმინეთი-საქართველო,
ესპანეთი-პოტუგალია,
რუსეთი-ბელგია.

ლევანი ცინცაძე

◎ ფეხბურთი

აქაც „ბარსა“

როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო ცხოვრების ქრონიკას სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია უძღვება.

იგი 1984 წელს დაარსდა, ხოლო მსოფლიოს საუკეთესო კლუბების რეიტინგს 1991 წლიდან ადგენს. მისი გამოვლენისას ითვალისწინებენ როგორც კონტინენტური და საკონტინენტთაშორისო შეჯიბრებების, ისე ეროვნული ჩემპიონატებისა და თასის გათამაშების მატჩების შედეგებს, მეთექვსმეტედფინალიდან მოყოლებული, აგრეთვე, ტურნირების კოეფიციენტსა და მონაწილეთა ძალას.

ამ დღეებში გამოქვეყნებული ახალი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გასული სეზონის მსოფლიოს უძლიერეს კლუბად კატალონიური „ბარსელონა“ მიიჩნიეს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის გამაჯვრებულ ლონდონის „ჩელსის“ მცირედით გაუსწრო. მესამე პოზიცია ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსმა“ და მადრიდის „ატლეტიკომ“ გაიყვეს.

გიორგი ზოთაძე

განცხადება

სს „კრედიტინფო საქართველო“ აცნობებს თავის აქციონერებს, რომ ამა წლის 19 თებერვალს, 16 სთ.-ზე, კომპანიის ოფისში, მისამართზე - მოსაშვილის ქ. №13, გაიმართება ორგანიზაციის აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

– ცვლილებები კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;

– 2012 წლის აუდიტირებული ფინანსური შედეგების დამტკიცება;

- გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემაზე.

კრების სააღრიცხვო თარიღია 2013 წლის 15 იანვარი.

სს „კრედიტინფო საქართველო“ დირექცია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საუკუნენახევარს გადაცილებული ჟურნალი

საახალწლო გამოცისკრება

მართლაც შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს წიგნის მოყვარულებმა. წინასაახალწლოდ „ცისკრის“ ორ ნომრად გაერთიანებული ჟურნალი გამოვიდა, რომელსაც მთავარი რედაქტორის რანგში პირველად აწერს ხელს შესანიშნავი პოეტი და პუბლიცისტი ბაღათერ არაბული. „ცისკრელებს“ ტრადიცია არც ახლა დაურღვევიათ და მკითხველისთვის უკვე შეჩვეული რუბრიკები კიდევ ერთხელ გაუმრავალფეროვნებიათ ახალი სახეებით.

„უჯრაში ჩაკეტილი ლექსები“ ოთარ კანდელაკის პოეზიას ეთმობა. ორი ლექსი რეპრესირებული პოეტის გადასახლების დროსაა დაწერილი.

„90-იან წლებში დაიწერა ჩემი მთავარი ლექსები, რომელსაც უსინათლობის, სიბნელის, გზადაკარგულობის განცდასთან ერთად ეგზისტენციური მიუსაფრობის ელფერიც დასდევს“ — წერს ანდრო ბუაჩიძე და პოეზიის მოყვარულებს თავის თორმეტ ლექსს წარუდგენს.

პროზისა და ახალი თარგმანების რუბრიკით გრიგოლ რობაქიძის რომან „მეგი — ქართველი გოგონას“ ფრაგმენტებს წაიკითხავთ, რომელიც ცალკე წიგნად გამომცემლობა „არტანუჯმა“ სერიით „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“ სრულად მიაწოდა მკითხველს.

ჟურნალი იწყებს პაატა ბერიკაშვილის „თეთრი კურდღლების აღსასრულის დღის“ გამოქვეყნებას. გულშიჩამწვდომია ჩვენი ცნობილი პოეტის გენო კალანდიას ჩანაწერები, რამდენიმე მცირე ზომის სევდიანი მოგონებები „აფხაზურ ელეგიად“ გაუერთიანებია პოეტს.

„ცისკარი“ აგრძელებს თანამედროვეობის თვალსაჩინო მწერლის პაულო კოელიოს გურამ გოგიაშვილის მიერ ჩვეული პროფესიონალიზმით გადმოენებულ რომანს „ბრიდას“, ავთანდილ ჩხაიძის მიერ თარგმნილ მირზა მამედოღლის პოეზიასა და თეიმურაზ ქურდოვანიძის გადმოქართულებულ ტატიანა ტოლსტაიას ბროდსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ესსეს.

თენგიზ სიმაშვილი თავის კვლევაში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილის დაფარვის მიზეზები საბჭოთა პერიოდში“ და ნოდარ გრიგალაშვილი „საუკუნის მთავარი მკვლელი და მკვლელობის შემკვეთი“ კვლავ აგრძელებენ დიდი ილიას მკვლელობის ჯერაც უცნობ დეტალებს, გამოუქვეყნებელ მასალებს თავისი კომენტარებით.

შვიდი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას უთმობს ჟურნალი რუბრიკას „ახალგაზრდა პოეტების კონკურსი“. კატო ჯავახიშვილის, მინდია და გიორგი არაბულების, ჯუბა ხაინდრავას, თამარ ტყაბლაძის, სულხან წულუკიძისა და მამა პეტრე (კვარაცხელიას) პოეზიის დაჭაშნიკება დიდ სიამოვნებას მოჰგვრის პოეზიის მოყვარულებს.

„ცისკარი“ გაფორმებულია მხატვარ ბეჟან შველიძის ფერწერული ტილოების რეპროდუქციებით.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საუკუნენახევარს გადაცილებული ჟურნალი დაფინანსებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

მამუკა ვაშაკიძე

◎ დედაქალაქი

ბომბორას პარკის სიახლენი

ანუ მობრძანდით, მაგრამ გადალება აკრძალულია

მრავალ ცვლილებას შორის, რაც საქართველოში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მთავრობის შეცვლას მოყვა, ბევრი ადრე ჩამორთმეული კერძო საკუთრების თუ ბიზნესის ძველი მეპატრონეებისთვის უკან დაბრუნებაა აღსანიშნავი.

ერთი ასეთი გამოსაჩენი და თვალში მოსახვედრი გამორჩეული ადგილი უდავოდ მთაწმინდის პარკია, რომლის მფლობელობის უფლება ცოტა ხნის წინათ აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა.

ახალი წლის დამდეგიდან მოყოლებული აქაურობას პატარების ჟრიამული აცოცხლებს, რომლებსაც თოვლის პაპა მასპინძლობს და საახალწლო საჩუქრებით გულს უხარებს ცეროდენა დედაქალაქელებს. ბომბორას პარკში არაერთი სიახლეცაა — გაიხსნა რამდენიმე ახალი კაფე, ატრაქციონი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც ძველისძველი ტრამვაის ხაზის აღდგენაა, რაშიც დიდი წვლილი უცხოელმა სპეციალისტებმა შეიტანეს. სხვათა შორის, შარშან ზაფხულში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა საინფორმაციო მასალა იტალიელი და ბელგიელი ინჟინრების მუშაობის თაობაზე. მართალია მერე, მიზეზთა გამო სამუშაოები შეჩერდა, მაგრამ შემდეგ მაინც შესაძლებელი გახდა მათი ბოლომდე მიყვანა, შეიცვალა თითქმის მთელი ტექნიკური აღჭურვილობა — ლიანდაგები, ბაგირი, ზედა სამანქანო სადგურის ელევატორები, შემოიტანეს ახალი რუხ-წითელი ვაგონები, სამუშაო პროცესს 481 მეტრის სიგრძის გზაზე კომპიუტერული სისტემა მართავს, რომლის გავლას 5 წუთი სჭირდება. ერთიცაა: თუკი სადგურებში უცბად ბევრი ხალხი მოიყრის თავს, რაც სადღესასწაულო დღეებში სავსებით მოსალოდნელია, ტრამვაის ვაგონები უფრო მაღალი სიჩქარით იმოძრავებენ და მგზავრობას, შესაბამისად, ნაკლები დრო დასჭირდება.

თვალის ერთი გადავლებით ბომბორას პარკშიც და განახლებულ ტრამვაის ხაზზეც ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ერთმა უსიამო ინციდენტმა ნანახისგან მიღებული კარგი შთაბეჭდილება გარკვეულად გაანელა. საქმე ისაა, რომ ფოტორეპორტაჟი, რომელიც წინამდებარე მასალას ახლავს, უფრო სრულფასოვანი იქნებოდა, რომ არა ტრამვაის ხაზის ზედა სადგურის ერთ-ერთი თანამშრომელი ახალგაზრდა ქალის სრულიად გაურკვეველი გაკაპასება, რომელმაც ჩვენს ფოტოკორესპონდენტს იქაურობის გადაღება აუკრძალა — ამის გასაკეთებლად ჩვენი ხელმძღვანელობის ნებართვაა საჭიროო. ეს არცთუ ცივილიზებული საქციელი კიდევ გასაგები იქნებოდა, საქმე რაიმე სტრატეგიულ ობიექტს რომ ეხებოდეს, მაგრამ როცა საქმე ჩვეულებრივ, თუმცა კი ულამაზეს სანახაობას ეხება, რომლის გადაღების სურვილი, დარწმუნებული ვარ, თბილისის “ჩიტის გადასაფრენიდან“ ნახვის იქ ამოსულ ყველა მსურველს ექნება, ასე მოქცევა ან ჩინოსნური ახირებაა, ანდა ელემენტარული „ქაჯობა“. ორივე შემთხვევაში ეს სრული უაზრობაა, რომელიც არც დედაქალაქს შვენის, არც პარკს უხდება. ამ ლამაზ საფირმო სამოსელში გამოწყობილი ქალბატონის სახელისა და გვარის დადგენას ბევრი არაფერი უნდოდა, მაგრამ ამის გაკეთებას თავი სრულიად შეგნებით ავარიდეთ, რადგან იმედი გვაქვს, რომ ეს უხერხულობა მალევე აღმოიფხვრება.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ფუნიკულორის პლატოს ტრამვაი, რომლით მგზავრობის საფასური 2 ლარია, ზამთარში დილის 11-დან საღამოს 6 საათამდე, ზაფხულში კი გაცილებით გვიანობამდე იმუშავებს.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

სანთელი

ელვერ კუპატაძის გაუსაძლისი მონატრება

ჩვენო ელვერ, 12 იანვარს ერთი წელი ხდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ! ადრე თუ გვიან გარდაცვალება რომ კაცთა წესია, ყველას კარგად მოგვეხსენება, მაგრამ შენ, სიცოცხლით, გასაოცარი ჯან-ღონითა და მუდამ ჭაბუკური ენერგიით აღსავსეს, თუ კი ოდესმე რამე წაგაქცევდა, ვერავინ წარმოვიდგენდით, მაგრამ...

ვეტერანთა კეთილდღეობისათვის მებრძოლს, პარლამენტიდან გამოსულს, ახალ საქვეყნო და სამეცნიერო საქმეებზე მიმავალს გულმა გიღალატა თავად უღალატოს...გულიანი კაცი გულით კვდებაო, დაგატირა კიდეც შენმა ერთმა მეგობარმა, მართალი ყოფილა...

სულ ახლახანს შენზე უსამანოდ მონატრებულმა ოჯახის წევრებმა, სულიერმა მოძღვარმა, დედმამიშვილებმა, მეგობრებმა, დოქტორანტებმა და შენი კაცობით მადლიერმა ადამიანებმა შესანიშნავი წიგნი მოგიძღვნეს, რომელშიც შენი, როგორც უბადლო სამხედრო ისტორიკოსის, პროფესორის, მეცნიერ-მკვლევარის, ღირსების ორდენის კავალერის, აღმზრდელის და გულმხურვალე მამულიშვილის პიროვნება სათანადოდ და დიდი სითბოთია წარმოჩენილი.

უფალს შევთხოვთ, რომ ქრისტეს სასუფეველში დამკვიდრებულიყოს შენი მამაცი, ვაჟკაცური და მებრძოლი სული!

მერი, მევლუდ, თეონა, თორნიკე, ლოტბერდ და ელზა კუპატაძეები

ელვერ კუპატაძის გახსენება

დღეს ერთი წელი შესრულდა შენი გარდაცვალების დღიდან, ძმაო!

შოკისმომგვრელი იყო შენი ოჯახის ყველა წევრისა და ახლობლისათვის 2012 წლის 12 იანვარი, როცა შეგვატყობინეს, რომ ცუდად იყავი და ჩიტაძის ქუჩაზე საავადმყოფოში იმყოფებოდი.ჩვენ ყველა შენი ახლობელი შენს სანახავად წამოვედით იმ იმედით, რომ სერიოზული არაფერი იქნებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ იმედი გაგვიცრუვდა, ჩიტაძის ქუჩა პოლიციისა და სხვა ძალოვანი სტრუქტურის მუშაკების მიერ გადაკეტილი იყო, ჩვენს შეკითხვაზე, თუ სად მდებარეობდა საავადმყოფო და თხოვნაზე გავეტარებინეთ, პირდაპირ გვითხრეს, იმ კაცს ხომ არ ეძებთ, აქ რომ გარდაიცვალაო?! შენ ქუჩაში უსულოდ იყავი და უამრავი ხალხი დაგტრიალებდა თავს. აღნიშნული ტრაგედია დღესაც და ალბათ, შემდეგშიც მოუნელებელი იქნება ჩვენთვის.

მაინტერესებს, შენი სული სასუფეველში გადასვლის შემდეგ როგორ გრძნობს თავს, თუ შეხვდი შენს მშობლებს და სხვა ახლობლებს?

შენი გარდაცვალებიდან ბევრი რამ შეიცვალა, პირველ რიგში გეტყვი, რომ მეოთხე შვილიშვილი შეგეძინა, პატარა მარიამი. გილოცავ ძმაო, შენ ხომ დიდი სიყვარულით ელოდებოდი მის დაბადებას, მაგრამ არ დაგცალდა.

საპარლამენტო არჩევნებში „კოალიცია ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, რომლის დიდი მხარდამჭერი შენც იყავი, ამასაც გილოცავ.

გილოცავ იმ ყოფილი რეჟიმის დამხობას, რომელმაც მრავალჯერ გატკინა გული და დიდი „წვლილი“ შეიტანა შენს გარდაცვალებაში. შენ, პროფესორს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, 60-ზე მეტი წიგნისა და მეცნიერული შრომის ავტორს, ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს, სამხედრო საქმის ერთ-ერთ გამორჩეულ სპეციალისტს, გენერალ-მაიორს, შენი შემოქმედებითი და მოღვაწეობის ზენიტში უსამართოლდ გდევნიდნენ, გავიწროვებდნენ, გარდაცვალების დღესაც ვეტერანთა უფლებების დასაცავად იმყოფებოდი პარლამენტში და იქიდან გამოსულს გამოგაცალა სიცოცხლე ულმობელმა სიკვდილმა. ვინ იცის როგორ გატკინეს გული.

დღეს ყველა შენი ახლობელი შევიკრიბებით შენს სასაფლაოზე, ცრემლებით მოვიგონებთ შენს განვლილ გზას და ვისურვებთ, შენი სული სამუდამო სასუფეველში ამყოფოს უფალმა.

მშვიდობით ძმაო.

შენი ოჯახისა და დედ-მამიშვილების სახელით, შენი ძმა

ლოტბერდი კუპატაძე

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი

გურამ ჟორჟოლიანი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ირინა ასათიანი, მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ნუგეშა (მარიამ) მაყაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დღესასწაული

ბასილი დიდი

14 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს. ბასილობა.

14 იანვარს ასევე წინადაცვეთაა იესო ქრისტესი და ბასილი დიდის ხსენება.

ბასილი დიდი დაიბადა კეთილმსახურებით გამორჩეულ ოჯახში. მისი ბებია, დედა და-ძმა წმინდანთა დასში ირიცხებიან. ათენის სკოლის დამთავრების შემდეგ მეუდაბნოებთან დიდხანს ცხოვრობდა, იქვე იყო მისი მეგობარი გრიგოლი ღვთისმეტყველი.

ბასილი დიდი მართლმადიდებლობის დაცვისთვის იბრძოდა. მან ჩამოაყალიბა სამოციქულო ეკლესიაში ლიტურგიის წესი, რომელიც მისი სახელით არის ცნობილი. ეს ლიტურგია (წირვა) დიდმარხვის კვირაობით და ზოგიერთ სხვა დღეს აღესრულება.

საგულისხმოა, რომ ბასილი დიდის წირვა 14 იანვარსაც აღესრულება. მის მიერვე არის შედგენილი ლოცვა, რომელიც სულთმოფენობის წირვის ბოლოს მუხლმოდრეკით იკითხება!

ბასილი დიდის მრავალი თხზულებაა ცნობილი.

საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბასილი დიდი. მისი წარმოშობა საქართველოს უკავშირდება;

14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს, რომელსაც მოფერებით „ბასილის წვერებს“ უწოდებენ (ჩიჩილაკი ტრადიციულად თხილისგან კეთდებოდა და ნაყოფიერებისა და სიუხვის ქართული სიმბოლო იყო).

წლის ბედნიერად წარმართვას თურმე ბასილი დიდს ევედრებოდნენ. ძველად საქართველოში შობა-ახალი წლის ზეიმი დიდხანს გრძელდებოდა და მას აღმოსავლეთში „წელშუის კვირა“ ეწოდებოდა, თუშეთში – „წელწადშუ“, სვანეთში – „ზომხა“, გურიაში – „კალანდა“, სამეგრელოში კი – „ახალწანა“ და „კალანდა“.

P.S. გვინდა, ახალი წელი ძველი წესისამებრ მოგილოცოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა“.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

გაყმინული ვარსკვლავებთან

„ივანიშვილის მინისტრებმა საკუთარ თავს მაღალი პრემიები გამოუწერეს“

– აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნანა დევდარიანი, – რომელი ნორმალური ადამიანი მოიფიქრებდა იმას, რომ ორი თვე არ არის გასული და ამხელა პრემიები გამოიწერა ახალმა მთავრობამ. ეს წარმოუდგენელია. მოსახლეობას ჯერ თავის თავზე არაფერი უგრძნია, ტარიფები არ დაწეულა, საწვავი არ გაიაფებულა, დაზღვევაზე მხოლოდ თვეების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი და ესენი ამხელა პრემიებს იწერენ. მაგრამ წულუკიანზე ვერ თქვეს, რომ საკუთარ თავს პრემია გამოუწერა, რადგან ზოგიერთებისგან განსხვავებით, მას ეს არ უკადრია...

„ახალი თაობა“

კერძო ტაქსების მძღოლები გაფიცვით იმუქრებიან!

კერძო პირების მფლობელობაში მყოფი სამარშრუტო ხაზების ერთ კომპანიაში გაერთიანების შემდეგ, ბევრი ვარაუდობდა, რომ მალე კერძო ტაქსების „გაყვითლების“ დრო დადგებოდა. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ თბილისში „რენოს“ მარკის ტაქსების გამოჩენამ, კერძო ტაქსის მძღოლების საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია. მძღოლები შიშობენ, რომ საგადასახადო სისტემის მოწესრიგების მომიზეზებით, დედაქალაქის მერია შეეცდება ტაქსის ბიზნესში მიკროავტობუსების მსგავსად თავისი მონოპოლისტი ფირმა შეიყვანოს, რაც შემოსავლების შემცირებას და მათ გაღატაკებას გამოიწვევს. ამიტომ ისინი გაფიცვით იმუქრებიან.

„ვერსია“

სოფლებში ღორების დახოცვის შემთხვევებმა მკვეთრად იმატა

საქართველოს რამდენიმე რეგიონში ღორის ჭირი გავრცელდა. სამეგრელოს, გურიისა და შიდა ქართლის რეგიონებში ღორის სიკვდილიანობის შემთხვევა იმდენად გახშირდა, რომ მოსახლეობა სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ღონისძიებების დროულ გატარებას მოითხოვს. თუმცა, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურში ღორის დაცემის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ, არადა, მოსახლეობა ჩივის, რომ რამდენიმე ოჯახში ღორები უკვე დაეხოცათ, მართალია, ვეტერინარი მოიყვანეს, მაგრამ დაავადებას ვერაფერი გაუგეს.

„რეზონანსი“

◎ დედაქალაქი

გლდანის ყინული გელით!

მართალია, თბილისში სპორტის ზამთრის სახეობით თავის შესაქცევად სათანადო პირობები ნაკლებად არის – ციგაობა, თხილამურებით სიარული მთაწმინდის პარკში, კუს ტბის მიდამოებსა და კიდევ რამდენიმე ადგილას თუ შეიძლება, მაგრამ საშუალო და, მით უმეტეს, უფროსი ასაკის ქალაქელებს ის დროც გვახსოვს, ჯერ რიყეში, შემდეგ რევოლუციის მოედანზე, მერე კიდევ სპორტის სასახლის მიმდებარედ ყინულის მოედანი იყო მოწყობილი.

ის ძველი ყინულის მოედნები მაშინ დიდძალ ხალხს იზიდავდა, ბევრმა თბილისელმა ყინულზე პირველი ნაბიჯები სწორედ იქ გადადგა, მაგრამ მერე და მერე ამ კარგ საქმეს საფუძველი გამოეცალა და ეს სპორტული კერებიც თანდათანობით ჩაქრა. ჰოდა აი, ძალიან დიდი პაუზის შემდეგ, დედაქალაქში კვლავ გაჩნდა ყინულის მოედანი, რომელიც გლდანის პარკში მასპინძლობს დიდ თუ პატარა თბილისელს. საახალწლოდ, რომელსაც, როგორც წესი, ჩვენში იანვრის პირველ ნახევარში ვზეიმობთ, ვიდრე ძველი სტილითაც მის მობრძანებასაც არ აღვნიშნავთ, პატარებს ნაძვის ხეც ხვდებათ და თოვლის პაპაც მასპინძლობს თავისი ამქრით. თუმცა კი, როგორც ვთქვით, ყველაზე მეტი სტუმარი ყინულის მოედანს ჰყავს, სადაც მსურველთათვის იქვე კარავში ციგურები ქირავდება.

ყველაფერი კარგი იქნებოდა, რომ არა ერთი, ცოტა არ იყოს უხერხული გარემოება, რომელიც მთლიანობაში კარგ შთაბეჭდილებას ჩრდილს აყენებს. ყინულის მოედნის ქუჩის მხრიდან შესასვლელს რატომღაც ბოქლომი ადევს, იქიდან მისულ კაცს ბევრი წვალება უწევს. არადა, ტელერეკლამა ყოველდღე ხალხს ამცნობს, საციგურაოდ მისულებს უფასოდ უშვებენო... ამდენად, გარკვეული პრობლემები ერთიან კარგ შთაბეჭდილებას აფუჭებს.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ფოტოფაქტი

მიტაცებული სკვერი და სიბინძურის კერა გურამიშვილზე

უკვე რამდენიმე თვეა გურამიშვილის გამზირზე მეტრო „ღრმაღელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მშვენიერი სკვერისა და ტროტუარის ნაწილი თუნუქის ფირფიტებით შეღობეს და... მიატოვეს. გლდანი-ნაძალადევის გამგეობას არავითარი სტენდ-საცნობარო არ გამოუკრავს, თუ ვინ და რას აშენებდა ამ „მიტაცებულ ტერიტორიაზე“. მოქალაქეებს ტროტუარზე გავლაც უჭირთ, რადგან ღობემ ტროტუარის ნაწილიც მიისაკუთრა.

გამვლელებს უფრო მეტი საშიშროება მაშინ შეგვექმნა, როცა ზამთარში თოვლმა და ქარმა თუნუქით შეჭედილი ღობე წააქცია და ტროტუარის ნაწილი გადაკეტა. გვაინტერესებს, როდემდე იქნება ნახევრად მორყეული და ქარში მოფრიალე ღობის ნაწილები ასე უპატრონოდ მიტოვებული?! იქნებ გლდანი-ნაძალადევის ხელმძღვანელობამ მაინც ჩაგვაყენოს საქმის კურსში, რის მშენებლობას აპირებენ და რისი გულისთვის გააჩანაგეს მშვენიერი სკვერის ნაწილი?!

ლევან გოჭორიშვილი
კახა ძორიძის ფოტო.

◎ ანეკდოტები

გალეწილი ტიპი ძლივს მიბანცალდა ძელსკამზე ჩამომჯდარ მოხუცთან:

– თუ შეიძლება მითხარი, სად ცხოვრობს აქ ივან ივანიჩი?

– შენ თვითონ ხარ ივან ივანიჩი.

– ეს მეც ვიცი! ის მითხარი, სად ცხოვრობს იგი?

* * *

თუ ცოლი შეგეკითხება „გიყვარვარო?“ გახსოვდეს, რომ დადებითი პასუხი ფასიანია.

* * *

გოგო და ბიჭი მანქანით მიდიან. ზაფხულის საუცხოო დღეა.

– ნახე, როგორი მაღალი ბალახია, – ამბობს ბიჭი.

– რას „მინამიოკებ“? – გამოცოცხლდება გოგო.

* * *

– **მაპპტიე**, საყვარელო, მთელი გზა ვილაც მომდევდა, – ეუბნება პაემანზე დაგვიანებით მისული გოგო ლოდინით გაღიზიანებულ ბიჭს.

– მერე?

– რა მერე, ვერც წარმოიდგენ, რა ნელა მოდიოდა.

* * *

ცოლმა ქმარს ორი ჰალსტუხი აჩუქა. ქმარმა ერთი მაშინვე გაიკეთა.

– რაო, მეორე არ მოგეწონა? – განაწყენდა ცოლი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com